45/62/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

აპრილი 1962 წ. № 4



ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი კ. ა. გორბუნოვი

ა. ი. გერცენი

დაბადების 150 წლისთავის გამო

გარეკანი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თამარ ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინთან, რაზლივში

(ნაწყვეტი წიგნიდან: „ქარიშხლიანი გილიაკებით"...).

ახალ გაზეთებს საღებავის სუნი ასდიოდათ. დალუქულ ბარათებზე ეწერა: „ლენინს".

ბარათები ქუდის სარჩულში შემალა სერგომ, გაზეთები ქაღალდში გახვია და სირმით შეჰკრა.

— სადღესასწაულო საჩუქარივით! — შენიშნა გვერდით მდგარმა მეუღლემ.

—ყოჩაღ, ზინა! დღევანდელი პეტერბურგის პრესა უკლებლივ შეგიძენია, — შეაქო სერგომ.

— ეჭვი რომ არ აეღოთ, თითო გაზეთს ვყიდულობდი ყოველი გამყიდველისაგან, — ეუბნებოდა ზინა და პაწია, თითქმის ბავშვური ხელებით ქამარში უშნოდ მოკეცილ ბლუზის ნაოჭს უსწორებდა.

ფრთხილად ჩამოიშორა მეუღლის ხელები სერგომ:

— მივდივარ, ზინა!

— გზა მშვიდობისა, სერგო!

— განა შორს მივემგზავრები, ზინაიდა?

— სულერთია, გზა მშვიდობისა!

...ჩვეულებრივად გაშორდა გრძელკუდა მატარებელი პეტერბურგს, ორთქლმავლის ქშენით და საყვირის აკივლებით.

უჩვეულო სიმშვიდით იჯდა სერგო. „სულ ცოტა და რაზლივში ვიქნები. მთავარია სიმშვიდე, და მაშინ გზაც მშვიდობისა მექნებაო", ფიქრობდა და მგზავრების სჯაბაასში არ ერეოდა.

მერე რა, თუ ვინმე ბატონი ბარიტონით ბაასობს:

— არც დროებითი მთავრობა, არც სხვა მთავრობა! დაიხსომეთ, მეფის ტახტს ისევ მეფე დაამშვენებს!

მერე რა, თუ სირაქლემას ფრთების მარაოიან ქალბატონს არ მოსწონს თავსაფრიან ქალის გვერდით ჯდომა, ცხვირს ზევით სწევს და მარაოს ნერვიულად მალიმალ არხევს.

მერე რა... მაგრამ არა! ამის ატანა არ ძალუძს სერგოს: ვიღაც ღიპიანი ცხვირწინ გაზეთს უქნევს და სისინებს:

— წაიკითხეთ? წაიკითხეთ? თურმე ჯაშუში ყოფილა ლენინი, იმიტომაც დაემალა სასამართლოს.

— ჯაშუშიცა ხარ და ქვეწარმავალიც! —მიახალა სერგომ და ჰალსტუკი სახრჩობელას მარყუჟივით აუქაჩა.

— ახრჩობენ, ახრჩობენ, ყარაულ! — ისტერიულად დასჭყივლა მარაოიანმა ქალბატონმა.

— რაშია საქმე? რაშია საქმე? — აჩოჩქოლდნენ მგზავრები.

— „სადგური რაზლივი"! — გაისმა ამ დროს და ხალხში შერეული სერგო მატარებლიდან ჩამოხტა.

„ესეც შენი გულფიცხობა, კრინტიც არ უნდა დაგეძრა, ვინ იცის, მეთვალყურე აიკიდე, ვინ იცის, ლენინი ჩააგდე საფრთხეში", — ტუქსავდა სერგო თავისთავს და ადგილიდან არ იძვროდა.

როდის, როდის ფრთხილად მივიდა ტბასთან.

აი, დათქმული ადგილი, აი ნავიც.

იქნევდა ნიჩბებს სერგო ფრთებივით და დამორცხვებული ასულივით წითლდებოდა ჩამავალი მზით დაკოცნილი დასავლეთი. გაღმა ნაპირზე ტბის ბალახებმა შეიფარა ნავი. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა, მხოლოდ ერთი ბიჭუნა ისროდა ტბაში კენჭებს. „ყველაფერი რიგზეა" — გაიფიქრა სერგომ, ბიჭუნასთან მივიდა და მიესალმა:

— ემელიანჩიკს ვახლავარ!

— ემელიანჩიკი კი არა და... — აიჩეჩა ბიჭუნამ მხრები.

— მამაშენის — ამხანაგ ემელიანოვის ხატება ხარ, ამიტომაც გეძახი ემელიანჩიკს.

— ემელიანოვის კი არა და... — კბილებში გაცრა ბიჭმა და მხრები უფრო აიჩეჩა.

„ჰო, მართლა" — მოაგონდა სერგოს და პაროლით მიმართა: — დედაშენმა გამომგზავნა შენთან...

— დედაჩემმა? —ჩაეკითხა ბიჭუნა.

„ჰო დედაშენმა" — უნდა ეთქვა სერგოს პაროლის მეორე ნახევარი, მაგრამ გულიდან გადაუვარდა.

ეჭვით მოჭუტა ბიჭუნამ ღიღილოსფერი თვალები და მკვახედ მოუჭრა:

— აქ თევზი არ იცის, თუ სათევზაოდ მოსულხარ. — შემდეგ ხელში ჩამუჭული კენჭები ტბაში ჩაჰყარა, ველისკენ გაჰქუსლა და კაცის სიმაღლე ბალახებს მიეფარა.

კარგახანს უტრიალა სერგომ იქაურობას, სანამ ბალახების მიღმიდან ბიჭუნას ხმა არ მოესმა.

— საეჭვო პიროვნებაა. პაროლიც არ იცის ხეირიანად.

სწრაფად გადასწია სერგომ ბალახების ფარდა და თავპირმოპარსული მთიბავი დაინახა: ის სერგოს უღიმოდა.

— რაო, ვერ მიცანით, ამხანაგო ორჯონიკიძევ?

— ვლადიმერ ილიჩ! — შესძახა გაოგნებულმა სერგომ. — რა უყავით წვერ-ულვაში?

— იატაკქვეშეთს შევწირე! — იხუმრა ლენინმა და ხელი მოჰხვია, — მიამბეთ, მიამბეთ, გეთაყვა, რა ხდება უჩემოდ პიტერში? თუმცა აქ არა, წავიდეთ ჩემს აპარტამენტებში, — ანიშნა თივით გადახურულ კარავზე.

თვალებგადმოკაკლული შესცქეროდა იმათ ბიჭუნა — „მე კი საეჭვო პიროვნება მეგონა..."

— ახლაც გამექცევი, ემელიანჩიკ? — ალერსიანად ჩაეკითხა სერგო.

— აბა, რა ვიცი, აბა, რა ჩემი ბრალია! — აბუტბუტდა დარცხვენილი ბიჭუნა. შემდეგ უცებ კითხვითვე მიუგო:

— თქვენ კი, ძიავ, პაროლს ისევ დაივიწყებთ? — და ნაპირისკენ გაიქცა. გულიანმა სიცილმა გააცილა ბიჭუნა.

— შინისაკენ მოუსვა, — თქვა ლენინმა და სერგო კარავში შეიპატიჟა.

— ერთი ნახეთ, რა დარბაზი ამიშენეს! თივის ნაკვეთიც ამიღეს იჯარით. მთიბავი ივანოვი. თქვენ კი როგორ გეგონათ, ა?

— ვერ მივართვით თქვენი თავი ბურჟუების სასამართლოს, ვლადიმერ ილიჩ! — თქვა სერგომ.

— მიამბეთ, მიამბეთ, გეთაყვა, რა განწყობილებაა სალდათებსა და მუშებში, რა ამბავია მენშევიკების ცაკში? — არ ისვენებდა ლენინი.

— ყოველივე ჭეშმარიტს ეს ბარათები მოგახსენებენ, ჭორებს კი — ეს გაზეთები!

— ვიცი, ვიცი, ლენინი ჯაშუშიაო, წყალქვეშა ნავით გაიპარაო, — სიცილით ამბობდა ლენინი და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა კარავში.

უცებ შესდგა:

—„ბულბულს არაკებით არ კვებავენ", — ნამგზავრი ხართ, წავიხემსოთ თევზით და შავი პურით.

და დიდხანს, დიდხანს გულითადად საუბრობდნენ ისინი. ბოლოს, ნათქვამისაგან თითქოს კარავიც შეკრთა:

— „იარაღით ხელში აიღებს ხელისუფლებას მშრომელი ხალხი და ეს მოხდება ან სექტემბერში ან ოქტომბერში".

და ფიქრობდა სერგო: — „აგერ, ახლა დაგვამარცხა მტერმა სასტიკად და ბელადი კი გამარჯვებას წინასწარმეტყველებსო".

და მისცურავდა ცის კაბადონზე ნამგალა მთვარე და ენთებოდნენ დედამიწაზე „ნაპერწკლის" ვარსკვლავები.

# მეგობარი

შენ დიდი, ზღვასავით უძირო თვალები გაქვს. შენი თვალები შენი გულის სარკეა. გული კი სუფთა და კეთილი გაქვს. ამიტომ ყველას უყვარხარ, ჯერ ოცდაერთი წლისაც არა ხარ და საქმეში დამჯდარი ქალის სიდინჯე გაქვს.

შენით ამაყობენ შენი ტოლები, შენი მეგობრები. ყველაზე ძალიან მაინც ლალი ხაჩიძე ამაყობს შენით. ლალის ახარებს შენი მიღწევები, თუმც, ხშირად წაგჩურჩულებს ყურში:

— „არ შემიძლია“ რომ შემარცხვინო, მოგკლავო.

შენ ცეცხლი მოგედება სახეზე, მაგრამ შენი თვალები სულ სხვას მეტყველებენ: „მეგობარო, შენ სამართლიანად შემარქვი ეს ზედმეტი სახელი „არ შემიძლია“, მე ხომ ყოველ ახალ საქმეში ჩაბმა მაშინებდა...“

— გახსოვს? — გეუბნება ლალი და შენც გახსენდება:

1948 წელს გორის საბავშვო სახლში მიგიყვანეს ობოლი.

— არ შემიძლია აქ, — იმდუღრებოდი ცხარე ცრემლებით. ვერც დირექტორის, ვერც აღმზრდელის ალერსმა ვერ გაჭრა შენზე. ამ დროს ლალი შემოცქრიალდა, გაგიღიმა, პაწია ხელები წაგავლო და გითხრა:

— ჩემთან წამოდი, დაიკო.

შენ ჯერ დაუბღვირე, მერე გაჰყევი, დაწკრიალებულ ოთახში შედით, ლალიმ თვალხუჭუნა დედოფალა გადმოგიღო:

— ეს შენი იყოს, ანიკო.

შენ სიხარულით გაგიბრწყინდა თვალები და რამდენიმე წუთში შენმა წკრიალა სიცილმა იქაურობა აავსო. მერე ლალიმ გითხრა:

— იცი, ანიკო, ჩემმა დედიკომ დაიძინა და არ გაიღვიძა. მერე, ბევრი ხალხი მოვიდა, ტიროდნენ. დედა სადღაც წაიყვანეს. მე მითხრეს აღარ დაბრუნდებაო...

— მამიკო? — შეეკითხე შენ.

— მამიკო შორს წასულა, ვიღაც საძაგელ კაცებს ეჩხუბებაო, და ვიდრე მამიკო არ დაბრუნდება, აქ უნდა ვიყო.

— მეც.. მაგრამ სხვების მამიკოები მოვიდნენ, ჩვენი კი არა, — თქვი ნაღვლიანად და თვალებიდან ცრემლები ჩამოგიგორდა.

მერე შენ და ლალიმ ერთად შეაღეთ სკოლის კარები. ხელჩაკიდებული ერთად დადიოდით სკოლაში. თუ რომელიმე საგნის ათვისება გაგიჭირდებოდა, „არ შემიძლიაო“ შესჩივლებდი ლალის. ლალი დაგტუქსავდა და მეორე დღეს ყველაზე კარგად იცოდი გაკვეთილი. თუ ლალის გაუჭირდებოდა, შენ უდექი მხარში და კიდეც ვერცხლის მედალზე დაამთავრეთ საშუალო სკოლა.

„საით?“..—ცხოვრების დიდ გზაზე გამოსული შეეკითხე თავს.

— შენი ოცნება ხომ ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ კომბინატში მუშაობა იყო, ლალი?

შენ და ლალის ერთი გქონდათ ფიქრი, დარდი და ოცნება,

...და მიჰქროდა მატარებელი ქუთაისისაკენ. რამდენ რამეზე ოცნებობდი მაშინ, და ახლა გიკვირს, როგორ აგიხდა ოცნება.

წარჩინებით დაამთავრე კომბინატთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, შეისწავლე ქსოვა, მაგრამ დაზგების გუგუნმა, მასრების ტრიალმა შეგაშინა ახალბედა, გაგიჭირდა დგიმ-სავარცხელში ძაფის გატარება.

ქსოვის ოსტატი ზინა ლამბაშიძე ამოგიდგა მხარში და თითქოს სასწაული მოხდა — რამდენიმე თვის შემდეგ 24 მეტრი კრეპჟორჟეტის ნაცვლად 80-85 მეტრს ქსოვდი.

მალე ქვეოსტატი ნოდარ სანოძე დარწმუნდა, რომ შენ უკვე სამ დაზგაზე თავისუფლად შეგეძლო მუშაობა. არც შენ გითქვამს უარი. ახლა უკვე აღარ ამბობ: „არ შემიძლია“. ისე გაიწაფე, რომ წინასწარ გაქვს გამოანგარიშებული თუ რომელ დაზგაზე როდის გამოილევა ძაფი მასრაში. დილის 7 საათიდან დღის სამ საათამდე გუგუნებენ შენი დაზგები. სამუშაოს მორჩები და უთუოდ დაზგებს შეამოწმებ, გაასუფთავებ, ძაფს მოამარაგებ, რომ შენი შემცვლელი შეუფერხებლივ შეუდგეს მუშაობას.

1958 წელს ნოდარიმ წინადადება წამოაყენა დაგვეწყოთ ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის.

— შენ რას იტყვი, ანა ტეხაშვილო? — მოგმართა.

— რა მეთქმის! ვიბრძოლოთ!

ან რა გქონდა სათქმელი, მეთერთმეტე ბრიგადა ხომ ცამეტი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდისაგან შესდგება: ვერა შუბითიძე, ფატი დიდბერიძე, ნანი სვანიძე, ნინა დოლბინა, ლიანა ზამთარაძე, ლიდა ჟინჟიროვა, ანა გლოტოვა, ნაზი ტალახაძე, ლილი სვანიძე, სულიკო ხიზანიშვილი, შენ და ლალი. თქვენ ხომ საქმესთან ერთად მეგობრული გრძნობითაც ხართ ერთმანეთთან დაკავშირებული და ეს გრძნობა ყველა გრძნობაზე დიდია, სათნო და უძლეველი.

ახლა უფრო მეტი გამოცდილება და დაკვირვება იყო საჭირო. ნოდარ სანოძე ქორივით დაგტრიალებდათ თავს; იგი ხომ საკუთარი თავივით იცნობს დაზგებს, შორიდან სმენით იგებს, რომელ დაზგას რა



ანა ტეხაშვილი

უჭირს... იცის მან, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვება არც ისე ადვილია, ამიტომ ახალი წინადადება წამოაყენა: როცა სამ დაზგაზე მუშაობთ და ერთ-ერთ დაზგაზე ქსელი ჩაწყდება, თქვენს გვერდში მომუშავე ამხანაგი იმ ორ დაზგაზეც იმუშავებს, ვიდრე ჩაწყვეტილი ქსელი არ გაკეთდებაო.

ერთხმად მოიწონეთ ქალიშვილებმა ეს წინადადება და დანერგეთ კიდეც. ამიტომაც ამშვენებს თქვენს ბრიგადას წითელი აბრა:

„აქ მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადა №11“.

შენ არ გაკმაყოფილებს მარტო შენი და შენი ბრიგადის წინსვლა, შენ გინდა, როგორც თქვენი, მეთერთმეტე ბრიგადა, ასევე სხვა ბრიგადებიც მოწინავენი იყვნენ. ამიტომ, თუ რომელიმე სხვა ბრიგადას გაუჭირდება, სამუშაოს შემდეგ იმათ ეხმარებით. და დღითიდღე იზრდება შრომის ნაყოფიერება, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ ნახავთ სათუთად ნაქსოვნაირფერ კრეპჟორჟეტს, კრეპსატინს და კრეპდეშინს. ეს შენი და შენისთანა ადამიანების ნახელავია.

შენ და ლალი პარტიის რიგებში ჩადექით, რითაც კიდევ უფრო გაიზარდა საქმისადმი თქვენი პასუხისმგებლობა. ახლა, როცა დროს იხელთებთ, ხან სახლში, ხან სამკითხველოში მეცადინეობთ. წელს მისაღები გამოცდები უნდა ჩააბაროთ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საფეიქრო ფაკულტეტზე. წარმოებიდან მოუწყვეტლად გინდათ მიიღოთ უმაღლესი განათლება. შენ და ლალის ხომ ერთი დღე ვერ წარმოგიდგენიათ ურთმანეთოდ, კომბინატის გარეშე, თქვენი დიდი ოჯახის გარეშე, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანი სამშობლოს საკეთილდღეოდ იღწვის და შრომობს.

ოლია რევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ქალიშვილი

რედაქციაში მოვიდა წერილი. იგი უბრალო, კეთილი ქალის ხელითაა დაწერილი. უბრალო, მაგრამ ამაღელვებელი წერილი! წავიკითხეთ და გული სიამაყით აგვევსო: აი, ასეთი ქალები გვყავს ჩვენ — მაღალი სულის, კეთილშობილი; მათი გული ადამიანისადმი სიყვარულით ძგერს.

ამბავი, რომელსაც ეს ბარათი მოგვითხრობს, ერთი ფურცელია სამამულო ომის დროინდელი ცხოვრების ისტორიისა. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა მაშინ—ტყვიების ზუზუნში, გამაყრუებელი აფეთქებების ხმებში, თვითმფრინავებით დასერილ ცის ქვეშ ჩვენი, საბჭოთა ქალები გულში იკრავდნენ შიშით გაოგნებულ, უდედმამო ბავშვებს, გაყინულ გულს უთბობდნენ, დედობას უწევდნენ, მათ აღზრდას ახმარდნენ ძალღონეს, ენერგიას... აი, ასეთი დედის წერილი მოვიდა რედაქციაში. მადლობა შენს ნაჯაფარ ხელებს, მადლობა შენს დიდ გულს, დედა!

## 1. მე გოგონა მყავს!

ეს მოხდა 1942 წლის სექტემბერში. არასოდეს დამავიწყდება ის დღე! მაშინ მე თბილისის ერთერთი სკოლის დირექტორად ვმუშაობდი.

გვიან, ღამით, ტელეფონის ხმამ გამაღვიძა. განათლების განყოფილებიდან რეკავდნენ — ევაკუირებული ბავშვები ჩამოვიყვანეთ, არის თუ არა საშუალება თქვენს სკოლაში დროებით მოვათავსოთო.

— დიახაც რომ არის! — ვუპასუხე მე და სასწრაფოდ შევატყობინე სკოლის მორიგეს ბავშვებს მომზადებული დახვედროდა.

დილით ფაცი-ფუცით ჩავიცვი ტანთ. ერთხელ კიდევ შევათვალიერე ჩემი დაცარიელებული ბინა (ქმარი მივლინებაშია, ბავშვები არა გვყავს) და მშობლიური სკოლისაკენ გავემართე... ევაკუირებული ბავშვები! ღმერთო ჩემო, რა გატანჯული სახეები აქვთ. ნახევრად შიშვლები, დაღლილ-დაქანცულნი. ზოგს მერხზე ჩამოედო თავი და ისე ჩასძინებოდა, ზოგიც იქვე, იატაკზე მიწოლილიყო. გული სიბრალულით ამევსო. წინა მერხზე პატარა, ცხვირპაჭუა გოგონა იჯდა, პურს ჭამდა, დოლბანდით შეხვეული ხელებით ნამცეცებს აგროვებდა.

ბავშვები მაშინვე ბუფეტში წავიყვანეთ, დავანაყრეთ. ნეტავ გენახათ, რა ხარბად შეექცეოდნენ კერძს!

საღამოს უფრო მეტად შემზარა ჩემმა ცარიელმა ბინამ. ტელეფონით ძლივს დავუკავშირდი რაიონში მყოფ ქმარს და მაშინვე ბავშვების შესახებ ვუამბე.

— კარგი, კარგი — მითხრა მან. — ჩამოვალ და დაგეხმარები, ბავშვთა სახლში უნდა მოვაწყოთ.

— იცი? იქ ერთი გოგონაა, პატარა, ხელები დოლბანდითა აქვს შეხვეული...

ქმარი პასუხს არ მაძლევს. ვიცდი ერთი წუთი, მეორე... მერე ტელეფონში კვლავ მესმის ძვირფასი, მშობლიური ხმა:

— წადი, გესმის? ახლავე წადი და მოიყვანე ის გოგონა.

ძვირფასი, საყვარელი მეგობარი, როგორ მიმიხვდა საწადელს, როგორ იგრძნო.

მე ვტირი მადლობითა და სიხარულით. მაშ, დღეიდან მე შვილი მყავს, შვილი, — გოგონა!

აღარც კი მახსოვს, როგორი სახე აქვს ამ გოგონას. მარტო მისი თვალები მახსოვს, ცისფერი, უძირო, სევდით სავსე თვალები... უთენია მივქრივარ სკოლისკენ. ბავშვები საცაა საბავშვო სახლისაკენ უნდა გაემგზავრონ. აძგერებული გულით ვუახლოვდები ჩემს გოგონას და პირდაპირ ვეკითხები:

— იქნებ საბავშვო სახლში წასვლას ჩემთან დარჩენა ამჯობინო?

გოგონა რატომღაც არ დაფიქრებულა:

— შენთან დავრჩები! — მითხრა უყოყმანოდ.

მთელმა სკოლამ გაიგო, რომ მე შვილი მყავს. დიდი თუ პატარა ჩემს კაბინეტში იჭვრიტება. იქ კი, ჩემს მაგიდასთან წყნარად ზის პატარა ნინიკო. მერე ნინიკო სახლში გავგზავნე. კარებში დავდექი და თვალი აღარ მომიშორებია გზაზე მიმავალ, მოკლე კაბასა და ძველ ჟაკეტში გამოწყობილ, თმაგაკრეჭილ გოგონასათვის. წელან ნინიკომ ჟაკეტის ჯიბიდან მთელი თავისი „განძი" ამომიწყო: ფერადი კენჭები, შუშის ნატეხები, გატეხილი კოვზი, ღილები...

მღელვარებით ველოდი ქმრის მოსვლას, ჩემი გოგონას მამის მოსვლას. და ისიც მოვიდა, გვიან, ღამით. ნინიკოს უკვე ეძინა. იგი მივიდა ბავშვის საწოლთან, დიდხანს, დიდხანს უყურა. მერე მუხლებზე დაეშვა და ფრთხილად აკოცა დოლბანდით შეხვეულ ხელებზე.

## 2. მან „დედა" დამიძახა!

სახლში ყველაფერი შეიცვალა. ამ გოგონამ თითქო მზე შემოიტანა მყუდრო ბინაში, მზე და ხმაური. გაჩნდა კაბები, წინსაფრები, ფეხსაცმელები... ქმარმა არ დამიჯერა — რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ერთად უყიდა ნინიკოს. მე კი არ მინდოდა ბავშვის განებივრება. არ მინდოდა ასეთი მკვეთრი განსხვავება ყოფილიყო მის წარსულსა და აწმყოში. მაგრამ ერთხელ შუაღამისას გამეღვიძა, ჰოდა, რას ვხედავ! — ნინიკო საწოლიდან წამომდგარა და ახალ ფეხსაცმელს ისინჯავს, ეფერება. თავი მოვიმძინარე...

მამა უფრო ათამამებდა გოგონას. მის დანახვაზე თვალში სიხარულის შუქი უდგებოდა. იგი არასოდეს გასწყრომია ნინიკოს, არაფერს არ უკრძალავდა. მხოლოდ უყვარდა, უყვარდა თავდავიწყებით. ერთხელაც არ დაეჭვებულა, რომ ასეთი მოპყრობით შეიძლება ბავშვი თავს გასულიყო. სულაც არ შიშობდა. მე კი, გამოვტყდები, მეშინოდა და აკი ერთხელ ნინიკომაც ასე მითხრა:

— დედიკო, შენ მარტო მაშინ გიყვარვარ, როცა კარგი ვარ. მამას კი... მამას ისეთი ვუყვარვარ, როგორიცა ვარ!..

„დედიკო"... არც თუ ისე დიდიხანია, რაც მან პირველად დამიძახა ეს წმინდა სახელი. ნინიკოს უმძიმდა ამ სიტყვის თქმა; უმძიმდა წარსულის გახსენებაც. ჩვენც არ ვაძალებდით. მიდიოდნენ დღეები, თვეები... და ბოლოს იგი საწოლში გვერდით მომიწვა, მაგრად ჩამეკრა და მიამბო თავისი ბავშვობის მძიმე ამბავი. ამბავმა შემზარა: მე ვხედავდი დაობლებულ გოგონას. მამა ფრონტზე დაიღუპა. დედა ყუმბარამ მოკლა... მტერი ქალაქში შემოდიოდა. თვითმფრინავი აედევნა ბავშვთა სახლს. შემდეგ ახალი ქალაქი, ისევ ბავშვთა სახლი. ისევ ევაკუაცია. ორომტრიალში ნინიკომ დები დაჰკარგა. მირბოდა გოგონა და ყურებში უწიოდა შემზარავი ხმა თვითმფრინავებისა. გზაზე უსულოდ ეყარნენ დიდები, პატარები... პატარა ფეხები ისევ გარბოდნენ. გზაზე პურის ნატეხი იპოვნა. მოსულიერდა. ისევ ჯოჯოხეთური ხმაური. აფეთქება. სისხლი.

ნინიკო ლენინგრადის საბავშვო სახლს წამოეწია: 14 ბავშვი და 2 პედაგოგი გადარჩენილიყო. მათ შეიფარეს პატარა. მადლობა თქვენ, უსახელო გმირებო, პედაგოგებო. ეს თქვენ გამოატარეთ ფრონტის საშინელ გზებზე ჩვენი ბავშვები.

გზად უღელტეხილი შეხვდათ. ნინიკო ყველაზე პატარა იყო. დაიღალა მისი პატარა ფეხებიც. იგი მიბარბაცებდა, მერე ეცემოდა. ისევ მიბარბაცებდა. საბჭოთა მეომრები წამოეწივნენ. მათ ხელში აიყვანეს ბავშვები და ისე გადმოატარეს უღელტეხილი... და ახლა გოგონა მე მიწევს გვერდით. იგი მაგრად, მაგრად მეკვრის მკერდში. და ჩვენ ორივე ვტირით, ვტირით ღრმად, უხმოდ. მაგრამ არც მაშინ უთქვამს ნინიკოს ჩემთვის „დედა". — ეს უფრო გვიან მოხდა: ქალაქში საჰაერო განგაში ატყდა. შვილიკომ კისერზე ხელი მომხვია, ჩამეხუტა და შეშინებული ხმით მკითხა: — დედიკო, მამა სად არის? არ მოკლან...

## 3. მე შენ გენდობი!

საჰაერო განგაშის დროს მე სასწრაფოდ უნდა გამოვცხადებულიყავი სკოლაში, რადგან ობიექტის უფროსი ვიყავი. წინათ სწრაფად ვიცვამდი, ვკეტავდი ოთახს და ობიექტისაკენ მივქროდი. დღეს კი... დღეს აღარ ვიცოდი როგორ მომეცილებინა კისრიდან ბავშვის ხელები, როგორ დამეტოვა სახლში ეს შეშინებული გოგონა? ეს კითხვა სულს მიშფოთებდა.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

ტელეფონის ზარი. ყურმილს ვიღებ. ლაპარაკობს მეორე სკოლის დირექტორი (ჩვენ ერთი შენობა გვქონდა).

— დღეს დარჩი შენს გოგონასთან. მარტო ცოდვაა. მე ვიმორიგევებ შენს ნაცვლად.

ძვირფასო ამხანაგებო, კარგო ადამიანებო! ახლა ოც წელზე მეტი ხანია გასული მას შემდეგ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება როგორ იზრუნეთ თქვენ პატარა, უცნობ გოგონაზე, დედასავით იზრუნეთ მასზე.

ნინიკოს ძალიან ეშინოდა საჰაერო განგაშის. იგი თავგზააბნეული გარბოდა ეზოში, ქუჩაში და თან მიმათრევდა. მე გადავწყვიტე ყოველთვის გვერდში მყოლოდა გოგონა. ამიტომ თან დამყავდა სკოლაში. განგაშის დროს ერთად გამოვდიოდით ეზოში, შენობას ვუვლიდით გარს, ვამოწმებდით თავდაცვის ჯგუფების პოსტებს... უკვე აღარ შიშობდა ნინიკო, აღარ ფრთხებოდა, მშვიდი გახდა, დაწყნარდა. მაგრამ ერთხელ სეირნობიდან აღელვებული, ფერწასული დამიბრუნდა.

— ნინიკო, რა მოხდა, ჩემო გოგონა?

და აღელვებულმა შვილმა მიამბო: ქუჩაში, საბავშვო ბაღიდან პატარა გოგოს მოვკარი თვალი, ჭრელი პალტო ეცვა და შავი ფეხსაცმელები. ვიცანი, ჩემი პატარა დაიკო, ალა იყო. სახელიც კი ვკითხე, ჰო, ალა მქვიაო, მითხრა. უკვე გვიან იყო. საბავშვო ბაღში არავინ დაგვიხვდა... ნინიკო ვერც მშვენიერმა ნაძვის ხემ დაამშვიდა, მამას რომ მოეწყო მისთვის. მივიდა, სახე მამის მკერდში ჩამალა და გაირინდა. შევწუხდი.

მეორე დღესვე მივმართე ამხანაგებს განათლების განყოფილებაში, რაიკომში. რამდენი ყურადღება გამოიჩინეს ამ კეთილმა ადამიანებმა ჩემს მიმართ, ჩემი გოგონას მიმართ. ისინი წამომყვნენ საბავშვო ბაღში, ნახეს იმ გოგონას დაბადების მოწმობა, ბინის მისამართი (გოგონა იმ დღეს საბავშვო ბაღში არ მოსულიყო), წავედით ბინაზე, და აღმოჩნდა, რომ ჩემი ნინიკო შემცდარა. გოგონა მშობლებთან ცხოვრობდა. ეს იყო ევაკუირებული ტაგანროგელი მუშის ოჯახი... გამიძნელდა მეთქვა ნინიკოსათვის ეს ყველაფერი, გამეცრუებინა მისი იმედი, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა? ვუთხარი ნინიკოს წამომყოლოდა და თვალად ენახა ეს ოჯახი, დარწმუნებულიყო.

— არა, დედიკო, — მითხრა გულდაწყვეტილმა გოგონამ, — ნახვა რა საჭიროა? მე შენ გენდობი!

## 4. ქალიშვილი მოიწიფა

წავიდნენ, გაფრინდნენ ზრუნვით, სწავლით, შემოქმედებითი შრომით სავსე დღეები, თვეები, წლები...

გაიზარდა, გაიფურჩქნა ჩემი გოგონა. „ქალიშვილი მოგესწრო" — მეუბნებოდნენ ნაცნობები, როცა ერთად გვხვდებოდნენ ხოლმე. ლამაზი იყო ნინიკო:

ცისფერი თვალები, ხშირი, მუქი წამწამები, წაბლისფერი ნაწნავები... მაგრამ ნინიკოს ყველაზე მეტად კეთილი გული ამშვენებდა, შრომისმოყვარეობა, მტკიცე ხასიათი. მან ტოლებისა და პედაგოგების საერთო სიყვარული დაიმსახურა.

მე და ჩემი მეუღლე შევხაროდით ჩვენს შვილს. უფრო მეტი და მეტი ბედნიერება ისადგურებდა ჩვენს ოჯახში.

და აი, ჩვენი გოგონა უკვე სტუდენტია!

დღესაც თვალწინ მიდგას ის საღამო, ნინიკომ რომ ჩათვლის წიგნაკი მოგვიტანა. მამა მაშინ მძიმე ავადმყოფი იყო. წამოიწია და კმაყოფილებით გადაავლო თვალი ჩვენი გოგონას ნიშნებს. იმ საღამოს განსაკუთრებით კარგად გრძნობდა თავს.

— ჩვენი გოგონა კარგი სპეციალისტი დადგება. — მეუბნებოდა იგი. — ჩვენ კიდევ არ მოგვიხდია ვალი. აი, უმაღლესს რომ დაამთავრებს, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები.

ეს იყო საღამოს. დილით კი სამუდამოდ დახუჭა მან თვალი. დავკარგეთ ძვირფასი ადამიანი. ერთგული მეგობარი. თავდადებული მამა. ვიგონებ და ცრემლები მახრჩობს. ვეღარ მოესწრო ჩვენი შვილის ფეხზე დადგომას, ვერ გაიხარა შვილიშვილებით.

მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მისი სურვილი შეგვესრულებია: ნინიკო ცალი ხელით ბავშვს ურწევდა აკვანს, ცალ ხელში კი წიგნი ეჭირა. გაგვიჭირდა, ძალიან გაგვიჭირდა — ოჯახი, ბავშვები, სწავლა, უძილო ღამეები... მაგრამ ჩემმა ქალიშვილმა დაიჭირა ცხოვრების გამოცდა — მან დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, კარგი სპეციალისტი დადგა, მუშაობს.

## 5. მინდა ვიცოცხლო!

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ნინიკომ თავისი უფროსი და, სვეტლანა იპოვა.

მაშინ სანატორიუმში ვისვენებდი. ნათესავები შეწუხდნენ — უნდოდათ ნინიკოს დასთან გამგზავრება ჩემგან დაემალათ. მაგრამ ჩემს გოგონას არაფრით არ უნდოდა ჩემი თანხმობის გარეშე წასვლა. მე სიხარულით შევხვდი ამ ახალ ამბავს. გავამზადე მგზავრობისთვის. სულაც არ მეშინოდა: ნინიკო ჩემია, ჩემი სისხლი და ხორცი. არავის, არაფერს არ შეუძლია ჩვენი დაშორება. ნინიკო არ დამტოვებს... ვთქვათ და მისი დედა, ან მამა ცოცხალი აღმოჩნდეს? მერე და, რაო? — უფრო მეტად იქნება ბედნიერი ჩემი გოგონა. მაგრამ ჩემს შვილობაზეც არასოდეს იტყვის უარს!..

დაბრუნდა ნინიკო. თან სტუმრად ჩამოიყვანა სვეტლანა თავისი ქმარშვილით. მან თურმე საქარხნო-საფაბრიკო სკოლა დაამთავრა, ახლა ფაბრიკაში მუშაობს. სვეტლანამ გადამკოცნა და სულ მადლობას მიხდიდა ნინიკოსათვის...

თქვენ, ალბათ, მკითხავთ: მეტი რაღა გინდა, ხომ დააყენე ფეხზე შენი ქალიშვილი, ხომ ბედნიერი დედა ხარო? ნდომით კი ბევრი რამ მინდა: მინდა ვიცოცხლო დიდხანს: მე კიდევ ვჭირდები ქალიშვილს, ოჯახს, ბავშვებს.

მინდა ვიცოცხლო დიდხანს, მოვესწრო კაცობრიობის ოცნებას — კომუნიზმს.

მინდა ვიცოცხლო დიდხანს მშვიდობის მზის ქვეშ, მესმოდეს ბედნიერი თაობის, ჩვენი ნორჩების სიცილი. არასდროს მენახოს მათი ცრემლები. არასდროს მიწვდეს მათ სმენას ომის ზრიალი. აი, ამისთვის ვიმაღლებ ხმას, ამას მოვითხოვ ნინიკოს დედა!

# შავი ქალაქის ვარსკვლავები

კვეზანიდან წამოსული მანქანა აღმართს შეჰყვა... ტყით შემოსილი, მაღლა აზიდული მთები გამოჩნდა, დაბლა ღალიძგის ხეობა, კლდეებს ზემოთ გაჭიმული ბაგირი.

ბაგირზე რიტმულად მოძრაობენ ქვანახშირით დატვირთული ვაგონეტები. ვაგონეტები ხევგალმა, უზარმაზარ ბუნკერებში იცლებიან.

ხევგალმა ლიანდაგზე ორთქლმავალი და ვაგონების გრძელი რიგი დგას...

თენდება.

გათენებისას ელნათურები უფერულდებიან, სიკაშკაშეს კარგავენ. მხოლოდ წითელი ვარსკვლავები ციმციმებენ შახტების თავზე ფერშეუცვლელად.

წითელი ვარსკვლავები გამარჯვების მახარობლები არიან. ახალი წარმატებებით ეგებება ქალაქი ყოველ განთიადს...

ტყვარჩელი ახალგაზრდა ქალაქია. ქალაქი თავისი ადამიანებით ამაყობს, ადამიანები თავისი ქალაქით. საამაყო კი ტყვარჩელელებს ბევრი აქვთ.

უმაღლესი ხარისხის საკოქსე ქვანახშირი მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ აქ მოიპოვება.

ექვსი მოქმედი შახტია, შენდება კიდევ ერთი, ამჯერად შახტი-ჰესი. იგი ქვანახშირის გარდა ელექტროენერგიასაც მისცემს სამშობლოს, ასეთი სახის მშენებლობა პირველია ჩვენს კავშირში. ტყვარჩელელები მას შვიდწლედის პირმშოს ეძახიან.

ხევგალმა ორთქლმავალი კივის...

საავადმყოფოს ალაყაფში წითელჯვრიანი „ზილი" შეგრიალდა. კულტურის სასახლის წინ ნარგავებს რწყავს მეეზოვე. იღვიძებს ქალაქი...

იწყება მისი შრომით აღსავსე დღე...

თამარ ყენია



## ამ ოციოდე წლის წინათ

ამ ადგილებში ერთი ფაცხა იდგა, ისიც სახელდახელოდ გაკეთებული. მწყემსები წვიმის დროს აფარებდნენ თავს. პიტალო კლდეებზე თხებს სიარული უჭირდათ, ფეხები რომ დაუცდებოდათ, მდინარეში ვარდებოდნენ ძვალდაჩეჩქვილი...

და აი, ერთ დღეს სერზე გამოჩნდა ხალხი, ახალგაზრდები იყვნენ — გოგოები და ბიჭები, იღლიაში გრძელტარიანი ჩაქუჩები ჰქონდათ ამოჩრილი, ხელში შავი ფერის ქვები ეჭირათ.

„რას ეძებთ, ახალგაზრდებო, ამ ხრიოკზე?—იკითხა მოხუცმა მწყემსმა.

„სიკეთესო" — უთხრეს და ქვა გაუწოდეს.

გაუკვირდა მწყემსს, სიკეთეს რომ ეძახოდნენ ქვას, მასაც რომ ბევრი უნახავს.

„აქეთ ბევრია ასეთი ქვები, ღალიძგისა და ხელიკვარას სათავეებში".

„ჩვენც იქეთა გვაქს გზა".

ეჭვის თვალით შეხედა მწყემსმა ახალგაზრდებს. უცხოები ვერ აჰყვებოდნენ ხეობას, ფრიალო კლდეები იყო, ჩანჩქერები.

„ვერ გახვალთ!"

„რატომ?"

„ცუდი გზაა".

„კარგ გზაზე სიარული ადვილია, ადვილად სიკეთეს ვერ იპოვნიო".

სთქვეს და გზას გაუდგნენ.

ადამიანმა მიაგნო კვალს. კვალი კლდეებში გაუჩინარდა. გააპო კლდე ადამიანმა და ისევ მიჰყვა, მიჰყვა და სიკეთე აღმოაჩინა. გაძნელდა გადამალული სიკეთის გამოტანა...

ადამიანმა მთებში გზა გაიყვანა, მანქანები აამუშავა. ამასაც აღარ დასჯერდა, ჰაერში ბაგირი გაჭიმა და სიკეთე ხალხის სამსახურში ჩააყენა.

სიკეთემ სიკეთე მოიმკო...

სიკეთემ ქალაქი გააშენა მთებზე...

## ტყვარჩელელი ქალები

მთების გული სამთო გამონამუშევრებს დაუქსელავს მრავალ კილომეტრზე. იქ, შახტებში მკლავმოუღლელი ადამიანები ებრძვიან კლდეს, ახალ-ახალი წარმატებებით ახარებენ დედასამშობლოს.

კაცებს აქაც გვერდში უდგანან ჩვენი სახელოვანი ქალები, ტყვარჩელელი ქალები.

აი ისინიც:

**თამარ ყენია**

ოცი წელია თავზე მეშახტის მუზარადი ახურავს, ხელში გრძელკუდიანი ჩაქუჩი უკავია და მიჰყვება კარგად ნაცნობ გზას... ამჟამად იგი მეორე შახტის მთავარი გეოლოგია.

ქერათმიანი, ცისფერთვალა ქალია, დაბალი ტანის. გარეშე იტყვის, რომ იგი ხელოვნების მსახურია, ეტყვით რომ მეშახტეა და არ დაგიჯერებთ.

თამარმა მეორე შახტში თვითეული შრე, თვითეული ფენი იცის, ქვანახშირის ფენები კი აქ მრავლადაა.

რთული გეოლოგიური პირობები ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს მეშახტეებს...

მიჰყვებოდნენ ფენს, ფენი მძლავრი იყო, ორი, ორნახევარი მეტრი ჰქონდა სისქე და უცებ... გაქრა. ქვანახშირის ნიშანიც კი არსად ჩანს, სანგრევში ფუჭი ქანის მეტი არაფერია და ვინ იცის, რამდენ ხანს მოცდებოდა ბრიგადა, რამდენი სახსრები დაიხარჯებოდა დაკარგული ფენის ძებნაში, რომ ასეთი კარგი და გამოცდილი გეოლოგი არ ჰყავდეთ შახტში.



ნუნუ ფიცხელაური

თამარმა ზედმიწევნით კარგად იცის ნახშირიანი ველის გეოლოგია. ტექტონიკური თვალსაზრისით იგი ძალიან რთულია, ხშირია ნასხლეტები, სხლეტვის სიბრტყის ამპლიტუდა მერყეობს ერთი, ერთნახევარი მეტრის ფარგლებში.

— ეძებეთ ქანი ზევით, ერთი მეტრის შემდეგ იგი გამოჩნდება...

და მართლაც სულ მალე სანგრევს ისევ ავსებს შავად მოელვარე ქვანახშირი.

ოცი წელი უსრულდება ტყვარჩელს...

ოცი წელია ტყვარჩელის მკვიდრია თამარ ყენია...

**ნუნუ ფიცხელაური**

პირველ შახტში მთავარი ინჟინრის მოადგილეა და განაგებს საგეგმო განყოფილებას...

რთული საქმეა. სწორად დაგეგმვისათვის საჭიროა იცოდე შახტის ყველა წვრილმანი.

ნუნუმ 1945 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. მუშაობდა ჭიათურისა და ახალციხის შახტებში.

ტყვარჩელის № 1 შახტში ნუნუ ფიცხელაური ცხრა წლის წინათ მოვიდა.

კარგი და გულისხმიერი მუშაობისათვის არაერთხელ დაუმსახურებია მადლობა ხელმძღვანელებისაგან...

იმ დღესაც ნუნუ შახტში იყო. შეამოწმა ყველა უბანი, შახტიდან ამოსული ელექტრომთვლელს მიუჯდა, დღის ბოლომდე დაადგინა — რამდენი ხე-ტყე დასჭირდებოდა საექსპლოატაციო უბნებს, რამდენი ტრანსპორტიორი, რამდენი ბრიგადა...

ამოიწურა სამუშაო დღე. მეშახტის ტანსაცმელი დაუბრუნდა კარადას...

მაგრამ დღევანდელი საქმიანობა არ დამთავრებულა, ოჯახში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, — ქალიშვილის დაბადების დღე ახლოვდება.

—ჩემი ქალიშვილი და ჩემი ქალაქი ერთად იდღესასწაულებენ დაბადების დღეს, — ამბობს ნუნუ და სასიამოვნოდ იღიმება.

**ლილი ჯეირანაშვილი**

ჯიუტი ხელები მაგრად ებღაუჭება საბურღავ ჩაქუჩს. ჩაქუჩი ებრძვის კლდეს. შპურებში ამონალს აწყობენ ამფეთქებლები, ზონარს უკიდებენ და... გრგვინვა აყრუებს გვირაბს, სანგრევში მტვერი ფარავს ყველაფერს...

გამნიავებელი მილები რამდენიმე წუთის განმავლობაში ასუფთავებენ სანგრევს.

არ არის ძნელი წარმოსადგენი, რაოდენ დიდ ზიანს მოუტანს შახტში მომუშავე ადამიანებს ოდნავადაც რომ შეფერხდეს სავენტილაციო მუშაობა.

ამიტომ არის ამ საქმეს მთელი უბანი რომ ემსახურება.

№ 2 შახტის სავენტილაციო უბანს ხელმძღვანელობს სამთო ინჟინერი ლილი ჯეირანაშვილი.

ლილიმ 1953 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და იმ დღიდან მუშაობს მეორე შახტში.



ლილი ჯეირანაშვილი

ეთერ უგლავა

იგი ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში ცვლის უფროსია.

ელექტროსადგური რესპუბლიკის ელექტროფიკაციის საერთო ქსელშია ჩართული და მთელი დატვირთვით მუშაობს.

სადგურის ნორმალურად მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საქვაბე საამქროზე.

ეთერის ცვლა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და წარმოებაში საუკეთესოდ ითვლება. უყვარს ეთერ უგლავა თბოელექტროსადგურის კოლექტივს, აფასებენ მის ცოდნასა და გამოცდილებას, ამიტომაც იყო ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე დელეგატად რომ გაგზავნა იგი.

ეთერ უგლავა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის წევრია.

**ლეილა დუმბაძე**

თუმცა ახალგაზრდა ქალია, საექიმო პრაქტიკის 14 წლის სტაჟი აქვს უკვე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლეილა დუმბაძე ტყვარჩელში მუშაობს.

ძნელი დასადგენია, რამდენი ადამიანი გამოაჯანმრთელა და ფეხზე დააყენა მისმა მადლიანმა ხელმა.

„ჩვენი ექიმი" — ასე ეძახიან ტყვარჩელელები ლეილას.

ძნელია მოიპოვო ყველას სიყვარული...

საკმარისია ერთი პატარა გულგრილობა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ადამიანს უჭირს და შენი შველა ჭირდება, გული გაიბზარება და მას ვერაფერი გაამთელებს.

ლეილა დუმბაძე თოთხმეტი წელიწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთერ უგლავა



ლეილა დუმბაძე

თამარ კაკაბაძე



დია ტყვარჩელში მუშაობს და იგი ნამდვილი ექიმია, ამ სიტყვის სრული გაგებით. ლეილას უყვარს ადამიანი. ადამიანები გრძნობენ ამ სიყვარულს და თავის დიდ გრძნობას მის მიმართ უბრალოდ ორი სიტყვით გამოხატავენ — „ჩვენი ექიმი“.

ამჟამად ლეილა ტყვარჩელის საავადმყოფოთა გაერთიანების ინფექციურ დაავადებათა განყოფილებას განაგებს.

## თამარ კაკაბაძე

დიდი, ნათელი შენობა, მზიანი ოთახები. დიდ დარბაზს პატარების ჟივილხივილი ავსებს. ლოყააწითლებულები, მომღიმარი სახეებით ისე არიან გართულნი თამაშით, უცხო ძიების შემოსვლას ვერც კი ამჩნევენ.

—უმეტესი მათგანი ორი თვის ასაკიდან არის ჩვენთან, და როგორც ხედავთ, ცუდად არ გამოიყურებიან, — გვეუბნება საბავშვო ბაგის გამგე თამარ კაკაბაძე და გვიჩვენებს:

— აი ეს პლიევის ბავშვია, ის ხაშბასი, ის კი, ცისფერთვალა, ჯღარკავასი, ამათი დედები ახლა მუშაობენ...

დიახ, დედები მუშაობენ და მათ პატარებს მოვლა-მზრუნველობა არ აკლიათ...

თამარ კაკაბაძის ინიციატივით გაიხსნა ამ ოციოდე წლის წინათ ეს საბავშვო ბაგა...

ვინ იცის, რამდენი ბავშვი გაიზარდა აქ ამ ხნის განმავლობაში. ბევრი უკვე მეშახტეც კია, საბურღავი ჩაქუჩით ხელში ებრძვის კლდეს.

ღვაწლმოსილი აღმზრდელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს მეშახტეთა ქალაქში. ამიტომაც არის იგი საქალაქო საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი...

კიდევ ძალიან ბევრი სახელოვანი ქალი ჰყავს ახალგაზრდა ქალაქს: საშუალო სკოლის დირექტორი მერი ლეკვეიშვილი, სამთო ინჟინერი ნატა მიქაბერიძე, სამთო ინჟინერი თამარ ჯაფარიძე...

თამარ ჯაფარიძე ჩვენი ძველი ნაცნობია...

მთავრობას მისთვის რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება მიუნიჭებია.

— ტრესტში გადამიყვანეს, — გვეუბნება იგი ნაღვლიანად და ღიმებული უმატებს. — რა ვქნა, შახტი მეძახის... არ შემიძლია უმისოდ...

ბინდი წვებოდა ხოჯალის მთაზე, ჩვენ რომ უკან ვბრუნდებოდით. აინთო ნათურები რძისფერ ბურთებში და ქალაქი გააჩირაღდნა.

მანქანა შეჰყვა ხვეულ გზას...

უკან დარჩა ქალაქი...

წითელი ვარსკვლავები ციმციმებენ შახტების თავზე.

ო. გოგრონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### მივბაძოთ მოწინავეებს!

# გვყავს ასეთი ქალიშვილები



ჩაის უხვი მოსავლის ბევრი ოსტატი ჰყავს გალის რაიონს. რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა ნოვატორი მეჩაიეების, სოციალისტური შრომის გმირების ნათელა ბულისკერიას, ლუსია სილოგავას, ლუნა კვეკვესკირის სახელები.

ამ მოწინავე მეჩაიეებმა თავიანთი მდიდარი გამოცდილება შეასწავლეს და გააცნეს რაიონის ახალგაზრდა მეჩაიეებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატმა ციალა ყოლბაიამ. 9200 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, აი რით შეხვდა ჭუბურხინჯელი მეჩაიე მშობლიური კომუნისტური პარტიის ისტორიულ ყრილობას. ათი ტონა ჩაის ფოთოლი ნახევარი ჰექტარი ფართობიდან — ასეთია წელს ციალას ახალი ვალდებულება.

ციალა ყოლბაია სკოლის დამთავრების, შემდეგ კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ და ბეჯითი შრომით თავი გამოიჩინა. მისი წარმატების ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ ზუსტად იცავს აგროღონისძიებებს და ფართოდ იყენებს მოწინავეთა გამოცდილებას.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ციალა ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებისთანავე იწყებს. წინასწარ ადგენს სამუშაო გეგმას. პლანტაციას ბარავს ნოემბერში. გადაბარვის წინ შეაქვს 60 ტონა ორგანული და 700-800 კილოგრამი ფოსფოროვანი და კალიუმოვანი სასუქები. სასუქებს თანაბრად ანაწილებს ფართობზე. ამ სამუშაოს ამთავრებს იანვრის მეორე ნახევრამდე. შემდეგ წმენდს და ასუფთავებს თხრილებს, სპობს სარეველებს.

ციალა ჩაის ბუჩქის გასხვლას იწყებს ადრე გაზაფხულიდან, მარტის პირველ რიცხვებში, როცა თბილი დღეებია. იგი საკუთარი პრაქტიკით დარწმუნდა, რომ ამ დროს გასხვლა აუმჯობესებს ჩაის ვეგეტაციას კრეფის მთელ სეზონში. ბუჩქს სხლავს ინდივიდუალური მიდგომით და ნახევრად ოვალურ ფორმას აძლევს. ჭრილს აკეთებს სწორსა და სუფთას. გასხვლის დამთავრებისთანავე პლანტაციაში შეაქვს აზოტოვანი სასუქი სამ დოზად. პირველი დოზა — 50 პროცენტი — 15-20 მარტამდე, მეორე დოზა — 30 პროცენტი — მაისის ბოლოს, ხოლო მესამე დოზა — 20 პროცენტი — ივლისის მეორე ნახევარში. სასუქებს შეტანისთანავე ჩათოხნის 5-6 სანტიმეტრის სიღრმეზე. ჩაის კრეფის სეზონში სისტემატურად ატარებს თოხნა-კულტივაციას ისე, რომ ნორმალური ვეგეტაციისათვის საჭირო ტენი ყოველთვის შენარჩუნებული იყოს ნიადაგში.

ციალას მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად სასუქების წესიერი გამოყენება მიაჩნია, კერძოდ, გვალვიან ამინდში მცენარის დამატებითი გამოკვება ორგანული და მინერალური სასუქებით. პლანტაციას რწყავს წყალში აზოტგარეული წუნწუხით, რასაც კარგი შედეგი მოაქვს.

როგორც ცნობილია, ჩაის მოსავლიანობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული წესიერ კრეფაზე. ამიტომ ციალა კრეფას აწარმოებს ყოველდღიურად, წვიმიან ამინდშიც კი, არ აცლის ჩაის დუყებს გადაუხეშებას, მაგრამ არც ნაადრევად კრეფს, ამით თავიდან იცილებს მოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს. ის არჩევს ნორმალურ დუყებს. დროულად მოკრეფილი ფოთოლი განსაზღვრავს ფოთლის როგორც ხარისხს, ისე მოსავლიანობას.

ციალა ყოლბაიას აზრით ნაადრევი კრეფა იწვევს ბუჩქის დაბეჩავებას და მოსავლის დანაკარგს. ის დუყებს კრეფს ნორმალურად მზარდი ახალგაზრდა ყლორტებიდან, რომლებსაც კარგად განვითარებული კვირტები აქვთ. ამასთან კრეფს ყრუ ყლორტებიდანაც, რომელთა ზრდა სხვადასხვა მიზეზის გამო შეჩერებულია.

ციალა სეზონის ცალკეულ თვეებში ფოთლის კრეფას სხვადასხვა წესით ატარებს. ეს კი ხელს უწყობს მეტი საკრეფი ყლორტების წარმოქმნას, ახანგრძლივებს კრეფის პერიოდს და უზრუნველყოფს ბუჩქის ნორმალურ ზრდას. მაისში ციალა ფოთოლს კრეფს ოთხ და ხუთფოთლიანი ნორმალური ყლორტებიდან, იღებს ორ და სამფოთლიან დუყებს მოზარდი კვირტით ისე, რომ გადანაკრეფ ადგილზე (ნეკზე) დარჩეს ორი ნორმალური და ერთი თევზა ფოთოლი. ივნისში კრეფს სამ და ოთხფოთლიან ყლორტებიდან.

საერთოდ ცნობილია, რომ ივნისში ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია საგრძნობლად კლებულობს და ამის გამო ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მოზარდი ყლორტების გადაყრუებას. ამიტომ ორ და სამფოთლიან ყრუ ყლორტებიდან ციალა იღებს ერთ და ორფოთლიან დუყს და ორივე შემთხვევაში ნეკზე ერთ ნორმალურ და ერთ თევზა ფოთოლს ტოვებს. ივლისი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. ციალა განთიადიდან გვიან ღამემდე პლანტაციაშია და ამ თვეში იგი წლიურ გეგმას ასრულებს. ივლისიდან სეზონის ბოლომდე კრეფს ორ და სამფოთლიან ყლორტებს. ნეკზე კი მხოლოდ თევზა ფოთოლს ტოვებს.

ციალა სიფრთხილით ეკიდება ახალგაზრდა ჩაის პლანტაციაში ბუჩქებზე კრეფას, პირველ კრეფას იწყებს ოთხწლიან პლანტაციაში, როცა ბუჩქების სიმაღლე 45 სანტიმეტრს აღემატება. ამ დროს კრეფს მხოლოდ ერთ და ორფოთლიან დუყებს (ნეკზე კი 4-5 ნორმალურ ფოთოლს ტოვებს).

ნოვატორმა მეჩაიემ ციალა ყოლბაიამ მარტო ჩაის ფოთლის კრეფით როდი გაითქვა სახელი. იგი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიცაა, არჩეულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მას მკერდს უმშვენებს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. არის პარტიის გალის რაიკომისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი.

ვ. ხარჩია,
გალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმათ დავითაშვილი




მოთხრობა

— რამდენი ხანია ლილი არ მინახავს, წავალ, გავუვლი! — თქვა ციალამ და ტანსაცმელების კარადა გამოაღო.

ხმა, როგორც ყოველთვის, იყო შეუვალი. ციალა ნებართვას არ ითხოვდა. არა! ხომ უნდა სცოდნოდა დედას, სად მიდიოდა მისი უმცროსი შვილი.

დედამ არაფერი არ უპასუხა. რამდენი ხანია, რაც ციალა საკუთარი სურვილისამებრ იქცევა. მართალია, მშობლებს არა ჰქონდათ რა სასაყვედურო, მაგრამ მაინც...

არა, დედას საპასუხოდ არაფერი უთქვამს. მან მხოლოდ ამოიოხრა და უკმაყოფილების ნიშნად შუბლი შეიკრა. დედა ახლა ნანობდა კიდეც, რომ მისმა შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო, თანაც, რა სპეციალობით — აგრონომი! მთელი დღეები ხან ალთას არის, ხან ბალთას. რა დრო დადგა: მისი თვალის სინათლე, მისი სიამაყე დღეღამეს მინდორ-ველებში ატარებს. განა შეიძლება ასე? გათხოვდეს მაინც, დროზე ჩაბარდეს პატრონს, ემანდ რაიმე ფათერაკს არ გადაეყაროს. განა ცოტაა ამ ქვეყნად ავი და ბოროტი ადამიანი?

დედამ იცოდა შვილის ჯიუტი ხასიათი, მაინც გასძახა მეორე ოთახიდან:

— რაღა დროს ლილია, სადაცაა დაღამდება. როდის უნდა მიხვიდე! — მერე შვილის უჩვეულო დუმილით გათამამებულმა, ახლა უკვე ხმამაღლა, უფრო დაბეჯითებით უთხრა: — იყავი და ხვალ საღამოს ერთად გადავიდეთ!

ციალა კვლავ დუმდა. დედამ ცნობისმოყვარეობით გაიხედა მისკენ.

ხომ არ მოეჩვენა? მუდამ დაუდევარი ციალა სარკის წინ კოხტაობდა, ხენდროსფერი კაბა ჩაეცვა და საკუთარ სახეს ჩაფიქრებით ათვალიერებდა.

დედას შუბლი თავისით გაეხსნა. კარგი შესახედია მისი ციალა. მერე რამდენი მთხოვნელი ჰყავს. რაიკომის მეორე მდივანზე ამბობენ, დადნა ციალას სიყვარულითო. იმ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიცილით უთხრა: ეს რა ჭირს გადავეკიდე, შენი ციალას გულისთვის კვირაში ორჯერ მაინც რომ არ გამოიაროს, არ შეიძლებაო. კიდევ კარგი, საქმეები კარგად გვაქვს და არ მეშინიაო. უთხარიო იმ შენს ციალას, თავს ნუ იდებს, მისთხოვდეს, თვითონაც მოისვენოს და ჩვენც მოგვასვენოსო.

დედას აბა, რა უნდა ეთქვა.

გაბრაზდა, სწორედ იმიტომ, რომ არა ჰქონდა რა სათქმელი. ძლივსღა მოახერხა: თუ გული გერჩის, შენ თვითონ უთხარიო.

თავმჯდომარეს გული გაუსკდა, ეგღა მაკლია, თითქოს ისე მოსვენებული ვყავდე, ახლა მაგაზე მეჩხუბოსო.

ისე, ჩვენში დარჩეს და, მეტი რა უნდა: რაიკომის მდივანია, ინჟინერია, თავისი სპეციალობით ყოველთვის მონახავს ადგილს, თვალი არ აკლია და ტანი. ან რაზე უნდა მოხსნან, კარგად მუშაობს. ლენინის ორდენიც კი მიიღო შარშან. მაგრამ, არა! ისე როგორ იქნება, თუ გიუნაშვილების ჯიუტობა არ გამოიჩინა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. სადაცაა ოცდაშვიდი წლის გახდება. ამ ხანში მას ციალა ხუთი წლისა ჰყავდა...

ამასობაში ციალამ ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში, რატომღაც მძიმედ ამოიოხრა და დედას დასამშვიდებლად უთხრა:

— ამაღამ ნუ დამელოდები, ლილისთან დავრჩები. — და მერე უკვე ეზოდან დაიძახა: — თავმჯდომარემ თუ მიკითხოს, უთხარი, ხვალ ადრე გადმოვათქო.

მერე ერთხელ კიდევ დაიხედა ხენდროსფერ კაბაზე, რომელიც მართლაც ძალიან უხდებოდა და მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი შარაზე აბაკუნა.

შემხვედრი გლეხები ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ: ეუცხოვებოდათ, ასე ლამაზად გამოწყობილს რომ ხედავდნენ.

ციალას უნებლიედ გაეღიმა: „რაო, შეეჩვიეთ, რომ მუდამ ჩითის კაბა და უბრალო ფეხსაცმელები მაცვია ხოლმე?“ მერე შეეცადა დინჯად წასულიყო, მაგრამ ისევ ჩვეულებამ სძლია და მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი ისევ სწრაფად აბაკუნა შარაზე.

აგერ სოფლის ბოლოც.

ახლა პატარა მდინარე იქნება, ბოგირს გადაივლის, წისქვილს გვერდით ჩაუვლის, სასაფლაოს მარჯვნივ მოიტოვებს და მერე უკვე მისი სამფლობელო დაიწყება.

მართლაც, სასაფლაოს მერე ციალას თვალწინ რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული ხილის ბაღი გადაიშალა. გაახსენდა, რა ბედნიერი იყო გაზაფხულზე: ციალა რომ არა, ამოდენა ბაღს ჭია გადაჭამდა. როგორც იქნა, თავმჯდომარის გული მოიგო, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით, მერე ისევ განაგრძეს ჩხუბი, ღმერთო, ეს რა უბედურებაა, მიზეზი არ გამოელევა: ხან სათესლე მასალა, ხან შეწამვლა, ხან ბრიგადების განაწილება. ისე კეთილი კაცი კია. ციალას უნებლიედ გაეცინა: რომ არ იჩხუბოს, ავად გახდება, ჯერ იჩხუბებს, მერე მაინც ისე გააკეთებს, როგორც ციალას უნდა.

ციალამ სული მოითქვა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რა ჩქარა მიდიოდა, ჩქარა, ისე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო სიარული. არც მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელები აფერხებდა.

აგერ, პატარა მთაც გამოჩნდა. მთის მწვერვალზე რამდენიმე მარადმწვანე ხე წამოსკუპულა. აქედან იმ მთამდე ხუთიოდე კილომეტრი იქნება.

რა ლამაზი მთაა და რა ლამაზად წამოსკუპულან ის ხეები. რაც ციალას თავი ახსოვს, ეს ხეები სულ ასე არიან. პატარობისას, როდესაც დედამისს ლილისთან მიჰყავდა, მათი დანახვისას ციალა ყოველთვის ეხვეწებოდა ეამბნა რაიმე მათ შესახებ. და დედაც თავისი გლეხური, ულევი ფანტაზიის წყალობით ყოველთვის სხვადასხვა ამბებს უყვებოდა ხოლმე...

უყვარდა რატომღაც ციალას ის ხეები...

მერე, უკვე მოზრდილი, ოცნებობდა თავის გულის სწორთან

ამ მთის თავზე აეშენებინა პატარა ციხე-სიმაგრე და ეცხოვრა ბედნიერად.

თავის გულის სწორთან...

შეეცადა სხვა რაიმეზე ეფიქრა.

მინდორს გადახედა, რომელმაც ასე მოულოდნელად შესცვალა ხილიანი. დამთავრდა პურის აღება. კარგი მოსავალი იყო წელს. ციალამ იყოჩაღა და სასილოსე სიმინდის დასათესად უკვე მოამზადებინა ნიადაგი. ხვალიდან შეუდგებიან თესვას....

და უცებ თვალწინ ვანო წარმოუდგა.

ალბათ, მზემ გააშავა, დავაჟკაცდა კიდეც. თუმც, ისედაც არ აკლდა არც ვაჟკაცობა, არც მომხიბვლელობა... ნეტავ, ახლა რას აკეთებს, როგორ შეხვდება...

კვრინჩხისა და კუნელის ცოცხალ ღობეს წამოედო....

საურმე გზას არხი კვეთავს.

რა მღვრიე და თან მუქი ფერის წყალი მოდის. ნუთუ ოდესღაც ამ წყალში ბანაობისათვის იკლავდა თავს. რა ამბავი ჰქონდათ: შეიკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის გოგო-ბიჭები და იყო ერთი გნიასი. ერთხელ კინაღამ ციალას ძმა დაიხრჩო... ღმერთო ჩემო, ამ წყალში ბანაობა, თანაც დახრჩობა! ახლა წყალი მუხლებს ზევით თუ მისწვდება. ვანო... ვანოც ბანაობდა ხოლმე ამ წყალში, მხოლოდ თავისთან. არხი ხომ მათ სოფელსაც კვეთავს.

ვანო... არ მოენატრა ციალას ნახვა?...

სადღაც გულის სიღრმეში ციალას ეგონა, რომ ვანოსთვის ის უბრალო მეგობარზე ახლობელი არასოდეს არ გახდებოდა. მერე რა, რომ ვანო, უმაღლესში ერთად სწავლისას, ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდა. ციალას ისიც ეგონა, ეს ყურადღება და ეს ზრუნვა მხოლოდ ადამიანობითა და მეგობრული გრძნობებით იყო ნაკარნახევი. მაგრამ, თურმე, ასე არ იყო. აკი გამოუტყდა კიდეც ერთ დღეს ვანო: მიყვარხარო. მაშინ ციალამ არაფერი უპასუხა. მხოლოდ აგრძნობინა — ჩემთვის მთავარი ამჟამად სწავლააო. მერე ვანოც გაჩუმდა...

ციალას ახლა უნდა კიდევ გაიგონოს ის სიტყვები, მაგრამ ვანო რატომღაც ჯიუტად დუმს...

ქალიშვილმა ნაბიჯს მოუჩქარა და შეეცადა ყველაფერი დაევიწყა.

მერე გლეხები შეხვდნენ.

ციალა ზრდილობიანად მიესალმა და გზა განაგრძო.

აგერ, იმ მდინარესაც გადაივლის და მერე ვანოს სოფელი გამოჩნდება. ნეტავ, სად და როგორ შეხვდება? შეიძლება ლილის უთხრას საქმე მაქვსო, ლილი თენგიზს — თავის უფროს ბიჭს გაგზავნის დასაძახებლად... აჰ, ლილი... მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მის სანახავად მიდიოდა და ბავშვებისათვის წამოღებულ ტკბილეულობას დახედა, ხელში რომ ეჭირა.

მდინარის პირას ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ ალიზები. ციალას გაეღიმა — ნეტავ, ჩვენს დროში ვიღა ხმარობს ალიზებს, შეიძლება საქათმისათვის უნდათ, ან სხვა რაიმესათვის. მაგრამ ვანო წარმოუდგა თვალწინ და ისევ დაავიწყდა სხვა ყველაფერი.

მერე საათს დახედა — რა მალე დალია ხუთი კილომეტრი, არც კი შეუმჩნევია.

გული აჩქარებით უცემდა, ვერ გაერკვია, დაიღალა, თუ რა მოუვიდა.

აგერ, ლილის სახლიც.

ლილი და გივი გამოეგებნენ. მერე მათი ჯალაბობა გამოფრთხიალდა:

ციალას თვალები გაუფართოვდა: ღმერთო, როგორ დაზრდილან, უფროსს წვერულვაში ამოსვლია.

— ლილი, როგორ დაწვრილშვილდი, სად მოასწარი, ჩემზე ხომ ხუთი წლით არც კი ხარ დიდი. — თქვა სიცილით ციალამ და ბიძაშვილს სიყვარულით მოხვია მხრებზე ხელი. — ეს ვინ არის? ნუნუ? ღმერთო, როგორ გალამაზებულხარ! მოდი, შენც გაკოცო.

დარცხვენილი ნუნუ მორიდებით მიუახლოვდა, შავი თვალები უმწეოდ აახამხამა და ციალას კოცნის მერე მსხვილი ნაწნავების ბოლო აათამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ მართლაც ძალზე ლამაზი იყო. შავგვრემანი სახე ხალებს დაეწინწკლა და ეს უფრო თავისებურსა და უფრო მომაჯადოებელს ხდიდა მის სილამაზეს. მაღალი იყო, კოხტა ტანი ჰქონდა და, რაც მთავარია, მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო.

მერე დაიწყო სუფრის სამზადისი. ამ სამზადისმა ბიძაშვილები დიდ, ნათელ სამზარეულოში გაიყვანა.

ერთხანს ლაპარაკი ვერაფრით ვერ აეწყო. ალბათ, იმიტომ, რომ ციალას საკუთარი სადარდებელი ჰქონდა და გაფანტულად პასუხობდა. მერე სამზარეულოში ნუნუ შემოვიდა. ნუნუმ მორცხვად თქვა, რომ შარშან უმაღლესში ვერ მოვეწყვე, ქულები დამაკლდაო.

— წელს? წელს არ აპირებ შესვლას? — შეეკითხა ციალა მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე ეთქვა.

— აბა, საიდან. სოფელში მუშახელი არ არის. რგოლს ხომ არ მივატოვებ?

— ნუნუ კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელია, — ამაყად თქვა ლილიმ. — ამ ერთი კვირის წინ გაზეთშიც კი იყო მაგის სურათი.

— გივი, სტუმრებს არ მიიღებ?

ციალას სუნთქვა შეეკრა.

ასეთი სანატრელი ხმა!..

კიდევ კარგი, გივის და ლილის მისთვის არ ეცალათ, ვანოს შესაგებებლად გავიდნენ ეზოში.

ნეტავ, ციალას მოსვლა გაიგო, თუ შემთხვევით გაშოიარა? როგორც უნდა იყოს, ყველაფერი თავისით მოეწყო და უკეთესს ვერც ინატრებდა. მთავარია, მისალმებისას არ დაიბნეს...

თავის ფიქრებში ჩაფლულმა ციალამ ვერ შეამჩნია, როგორ გავიდა სამზარეულოდან აწითლებული ნუნუ.

მერე ლილიმ ციალა სასტუმრო ოთახში გაიყვანა.

არაფერიც არ მოხდა.

ვანო...

კარგია, რომ ლილი ზრდილობის გულისათვის მათ მახლობლად ჩამოჯდა.

გივიმ თქვა:

— თქვენ სადილი გაამზადეთ, ვანოსთან ლაპარაკს მერეც მოესწრებით.

— ახლავე, ახლავე! ციალა, შენი ჭირიმე, მომეშველე, — სწრაფად, როგორღაც დაბნევით თქვა ლილიმ და ორივენი ისევ სამზარეულოში გავიდნენ.

— ქათმებს მე მოვუვლი, შენ ხაჭაპურები გამოაცხე, — უთხრა ციალამ.

— ნუნუ, სადა ხარ, მოდი, მოგვეხმარე, — დაუძახა ნუნუს. ციალამ შეამჩნია, რომ ხმა გაბზარული იყო და აღელვებისაგან უთანაბროდ ჟღერდა. ჯანდაბას! ხომ არ გამოუტყდეს ლილის? მაგრამ, რა უთხრას — ის, რომ ვანო უყვარს, უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია? მერე? მერე, ალბათ ლილი შეიბრალებს და შეეცდება მისი საქმის მოგვარებას, იმ საქმის, რომელიც ციალამ ხუთი წლის განმავლობაში ვერ მოაგვარა...

სამზარეულოში აღელვებული გივი შემოვიდა და ნუნუსათვის არ შეუხედავს, ისე უთხრა:

— ნახე, ერთი, თენგიზი სად არის. უთხარი, ვანოს მშობლებს დაუძახოს.

ნუნუ ტყვიასავით გავარდა. ლილიმ ქმარს დაკვირვებით შეხედა და რატომღაც ჩურჩულით შეეკითხა:

— რაო, თქვა რამე?

გივიმ თავი დაუქნია.

— პატარა ქვევრს მოვხადოთ. ჩვენებსაც დავუძახოთ. იყავი, მე თვითონ მოვუვლი. მანანა სად არის, პაპასთან გავგზავნოთ — გივი უხერხულად შეიშმუშნა, გაიღიმა და გასვლისას, რატომღაც, ტილოზე ფეხები გაიწმინდა.

ციალას სიცილი წასკდა.

უცებ დაეჭვებულმა იკითხა:

დასასრული იხ. მე-15 გვ.



ა. სინიცინა—ბაბაევა



მოიმქრალი ტალღები

# ალექსანდრა სინიცინა-ბაბაევა

აბობოქრებული ზღვა, მთებად წამომდგარი ტალღები ღმუილით მიიწევენ ცისკენ, თითქოს უნდათ გაარღვიონ მძიმედ დაწოლილი, ტყვიისფერი ღრუბლები. ჰაერს ღრუბლისა თუ ტალღის ფერი დასდებია და ორ სტიქიონს შორის გასათიშავად ჩამდგარა. ტალღა კი წამოზიდულა, თითქოს გაჰქრა სურსო თავისუფლებისაკენ, სინათლისაკენ, სადღაც მკრთალ ზოლად რომ მოჩანს შორს.

დგახარ და უცქერებ ზღვისა და ტალღების ჭიდილს, გაინტერესებს ვინ გაიმარჯვებს, ვინ ვის აჯობებს... ეს სურვილი იმდენად ძლიერია, რომ გავიწყდებათ — ეს ნახატია თუ სინამდვილე... გავიწყდებათ, რომ ავტორი ქერა, ხანდომიანი სახის ქალი, კუთხეში მიმჯდარა და ხელს არ გიშლით სურათის აღქმაში. ეს ალექსანდრა ზაქარიას ასული სინიცინა-ბაბაევაა, წარმოშობით უკრაინელი, სამამულო ომის წლებიდან კი თბილისის მკვიდრი.

ალექსანდრა ზაქარიას ასულს ბავშვობიდანვე იტაცებდა მხატვრობა, მაგრამ მშობლების მატერიალურმა გაჭირვებამ ხელი შეუშალა სწავლაში.

1915 წლიდან ალექსანდრამ თავისი ცხოვრება მწერალს, გორკის მეგობარს თევდორე ჩირნის დაუკავშირა. ნიჭიერ, განათლებულ მწერალს უყურადღებოდ არ დარჩენია მეუღლის მისწრაფება. იგი ეხმარებოდა, ხელს უწყობდა ქალს. ერთი წლის შემდეგ მოსკოვში, ახალგაზრდა თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაზე ალექსანდრას ნაშრომებმა პირველი პრემია დაიმსახურა. უფრო გვიან კი, ხარკოვში მოეწყო მისი ტილოების გამოფენა, რომელსაც ფართო საზოგადოების ყურადღება და სპეციალისტების მოწონება ხვდა წილად.

ჩირნის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრა ზაქარიას ასული ცოლად გაჰყვა სომეხ პორტრეტისტს — ბაბაევს. პროფესიულ ცოდნას მოკლებული მხატვარი ქალი ცდილობდა თავისი ნამუშევარი დაემალა უკვე ცნობილი და გამოცდილი მხატვარი მეუღლისათვის. მით უმეტეს, რომ მათი შემოქმედების თემა სხვადასხვა იყო. ერთს ადამიანი იზიდავდა, მეორეს კი ზღვა, ერთს სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, მეორე კი მხოლოდ თვითნასწავლი მხატვარი იყო. ქალი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მეუღლის მუშაობას, აკვირდებოდა, თუ როგორ აზავებდა ფერებსა და ტონებს, როგორ ხმარობდა ყალამს, როგორი თავდავიწყებით მუშაობდა იგი.

— ერთხელ, — იგონებს ალექსანდრა ზაქარიას ასული,—არასოდეს დამავიწყდება ის დღე... ჩემმა მეუღლემ შენიშნა, რომ ყუთს რამდენიმე ფერის საღებავი აკლდა. მე შემჩნეული მქონდა, რომ აქამდეც რამდენჯერმე მოისაკლისა ესა თუ ის საღებავი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ამ დღეს კი ვეღარ მოითმინა და ნაწყენმა ხელი ჰკრა ერთ-ერთ ტილოს, ტილო შეტრიალდა და მეორე მხარეზე დახატული ზღვა გამოჩნდა... გაოცებულმა კიდევ ერთი სურათი შეაბრუნა, შემდეგ მეორე, მესამე... ყველაზე ზღვა ეხატა, აქარიშხლებული ზღვა, ბობოქარი სტიქია...

ამის შემდეგ ალექსანდრა ზაქარიას ასულს ხელიდან აღარ გაუგდია ყალამი, სპეციალური განათლების მიღება კი მაინც ვერ მოახერხა, თუმცა ყოველმხრივ ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქმარი.

ბუნებამ სხვა სიკეთითაც დააჯილდოვა ეს ქალი; მას შესანიშნავი ხმა აქვს, წერს მუსიკას. მისმა ხმამ მოაჯადოვა ხარკოვის კონსერვატორიის ვოკალისტები, სპეციალური განათლების უქონლობის მიუხედავად, ალექსანდრა სიხარულით მიიღეს კონსერვატორიაში, რომელიც 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა და სცენაზე დაიწყო მოღვაწეობა...

1941 წელი... დიდი სამამულო ომი... ალექსანდრა ზაქარიას ასული ავადმყოფ მეუღლესთან ერთად თბილისში გადმოსახლდა. ამ ქალაქში დაასაფლავა მან თავისი ერთადერთი მახლობელი ადამიანი და მარტოდმარტო დარჩა. პირველ ხანებში იგი შეიფარა გამოჩენილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ოჯახმა, შემდეგ კი ცალკე გადასახლდა.

ქალი თავის საყვარელ ხელოვნებას — მხატვრობას მიეცა მთლიანად. ამჟერად მას დახმარების ხელი გაუწოდეს სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმულმა თბილისელებმა. ნაცნობი მხატვრები საღებავებსა და ტილოებს აწვდიდნენ მხატვარს. ქართველი კომპოზიტორები ქ. მეღვინეთუხუცესი, ა. ბალანჩივაძე, შ. აზმაიფარაშვილი და დ. თორაძე საუკეთესოდ აფასებდნენ მის ხმას.

ალექსანდრა ზაქარიას ასული სიმღერის გაკვეთილებს ატარებს, კონცერტებს აწყობს სამხედრო ჰოსპიტლებში, აყალიბებს თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს.

ომი დამთავრდა... ისევ ყალამი, აბობოქრებული ზღვა... აი, ლურჯი, იისფერი „ღრუბლები“, თითქოს სადაფით მოოჭვილი „კლდე“, რუხი ფერებით დაფარული „ქარიშხალი“, — ყველგან ბრძოლა, ყველგან ძალთა ჭიდილი, გრძნობათა შეხმა, მისი სიღრმე, უსაზღვროება...

მაგრამ, როგორი მრისხანეც არ უნდა იყოს ზღვა, უალუზე შემდგარი ტალღების ჯანყი, სადღაც მაინც მოსჩანს სინათლის სხივი, მისი ათინათი დასთამაშებს ქაფად ქცეულ ტალღებს, ტყვიისფერი ღრუბლებით დაფარულ ცას, დამძიმებულ ჰაერს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: თუმცა ტილოების დიდი ნაწილი გამოხატავს ღრუბლებს ან ქარიშხლიან ზღვას, მაინც თვითეული მათგანი დახატულია სხვა ხელით, სხვა შთაგონებითა და განწყობით, ვერც ერთ ტილოზე ვერ შეხვდებით [illegible] გამეორებას, კომპოზიციურ მსგავსებას. [illegible] ახალი ხაზი, ახალი განწყობა, ახალი სახე.

ფერთა ამ სიმდიდრემ ათქმევინა რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს... იგი [illegible] დავს და ამავე დროს გადმოსცემს რეალური ხერხებით; მისი თემა უმთავრესად ზღვა არის და იგი საოცარი ძალით გადმოსცემს ზღვის სტიქიის მთელ მშვენიერებას...“



ავტოპორტრეტი

ერთი წელია, რაც საქართველოს მხატვართა კლუბში მოეწყო ალექსანდრა ბაბაევას ნამუშევრების გამოფენა და მას შემდეგ ხელოვანმა მრავალი ახალი ტილო შექმნა, ეს ტილოები ღირსეულად იმსახურებენ მნახველის მოწონებასა და აღფრთოვანებას.

ამჟამად ავტორმა დაამთავრა უზარმაზარი ტილო „მეცხრე ტალღა“, რომელიც მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებისა და მხატვრული დაოსტატების ცოცხალი სურათია.

ახლად შექმნილი ტილოების გარჩევა ამ ერთ წერილში შეუძლებელია და ამიტომ ჩვენ მოვიშველიებთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილის სიტყვებს: „მას სპეციალური განათლება არა აქვს, მაგრამ აქვს თანდაყოლილი ხალასი ნიჭი, ძალიან შრომისმოყვარეა და მას უანგაროდ უყვარს ხელოვნება. მისი შემოქმედების მთელი ძალა პეიზაჟის აღქმაშია. განსაკუთრებით კარგად ხატავს ზღვას...“

წერილს კი რუსი მხატვრის პერკაშინის სიტყვით დავამთავრებთ: „მე მომეწონა ა. ბაბაევას უშუალობა, ცხოვრების სიყვარული, ზღვის ბუნების ასე ყოველმხრივი და ღრმა ცოდნა. ბაბაევას რაღაც არაჩვეულებრივი გემოვნება, ტექნიკა და შესრულების თავისებური მანერა აქვს“.

ს. ისნელი



ოკეანე



კავკასიური მოტივი



# ასე მოვიდა მელოდია

— ...და როდესაც ჩაბნელებულ დარბაზში დაიკარგება ყველაფერი, როცა ჩემს ირგვლივ ამდენნი არიან და მაინც მარტო ვარ, მარტო — ყველას პირისპირ, მაშინ ჩემს მხსნელად მოდის მელოდია:..

ამ საღამოს გაზაფხულმა ჩვენს ქალაქში გახსნა ყველა ფანჯარა. ქალი რაფას დაყრდნობია, ფანჯრის განათებულ ჩარჩოში მუქად იძერწება ნაცნობი დახრილი პროფილი. ოთახში ბნელა და ასე უფრო კარგად მოჩანს განათებული ქალაქი. ქუჩიდან ოთახში აკაციის ტოტი იყურება დამსკდარი კვირტებით.

— თქვენ მეკითხებით, როდის მოვიდა ჩემს ცხოვრებაში მელოდია? მე თვითონაც ხშირად ვცდილობ მოვიგონო. ალბათ, ძალიან ადრე, ალბათ, ბავშვობის ყველა მოგონებაზე უწინ. რა იყო ეს? „ იავნანა“ თუ უმშვენიერესი „სალამური?“ წლები გადის და მე ახლაც გულისტკივილით ვიგონებ იმ საღამოებს, როცა დედაჩემი ოლღა ბაგრატიონი ბავშვებს ირგვლივ შემოგვისხამდა,— ჩვენ ოთხნი ვიყავით, — გიტარას მომართავდა, იმღერებდა და ჩვენც აგვიყოლებდა. სიმღერა იყო ჩვენი ოჯახის მუდმივი სტუმარი...

ასე მოვიდა მელოდია ლილი გეგელიას ცხოვრებაში. მოვიდა და დარჩა, არ წასულა. ქართულ სიმღერებს მიემატა ძველებური ბოშური, რუსული რომანსები და სტუდენტურ საღამოებს, ამხანაგების თავშეყრას ახლდა სულ სხვანაირი ეშხი და მომხიბლაობა, როცა მღეროდა ლილი. უნივერსიტეტის სცენაზე კი შავგვრემანი, თვალსევდიანი ქალიშვილის გამოჩენა ყოველთვის იწვევდა დაუცხრომელ ოვაციებს.

მაგრამ უფრო დიდი აუდიტორიის წინაშე წარდგომის ეშინოდა, ვერ გაებედნა. თუმცა მისი ნიჭის თაყვანისმცემლები ბევრს არწმუნებდნენ, სთხოვდნენ და აქეზებდნენ.

— პირველი კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტმა მომიწყო. კარგი რეპერტუარი მქონდა — სანდრო მირიანაშვილის, რევაზ გაბიჩვაძის, ალექსანდრე ბუკიას რომანსები და... „ია-ია“ — სიმღერა, რომელიც კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა დამიწერა, კეკლუცი და მომხიბლავი „ია-ია“, დღესაც რომ დარჩა ჩემი რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო ნომრად...

— მახსოვს თუ არა პირველი გამოსვლა სცენაზე? — სიბნელეში ვგრძნობ, როგორ იღიმება. — განა ეს დღე ვინმეს ავიწყდება? მიუხედავად იმისა, რომ ის პირველი მღელვარება ახლდება ისევ და ისევ, ყოველ კონცერტზე, ყოველი გამოსვლისას. განა არ შეგიმჩნევიათ? — მეკითხება უეცრად და ჩერდება.

არა, ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. და როცა ის გამოდის სცენაზე — რამპების შუქზე თითქოს ოდნავ გაფითრებული და ოდნავ ზომაზე მეტად მშვიდი, როდესად ორკესტრი იღებს პირველ ბგერებს და მას გაეპასუხება ხმა—დაბალი და ჟღერადი, როცა ეს ხმა აისხლიტება ზევით და იქ თითქოს ვიღაცას უხმობს, ვიღაცას ეძებს — ალბათ, მომღერლის შინაგანი თრთოლვა გადადის სიმღერაში,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დარხეული ფიორტურები და ჟინიანი, ყოველთვის ახლებური ვარიაციები.

პირველი გამოსვლა...

ეს იყო დაახლოებით ოთხი წლის წინათ. ლილი გეგელია მღეროდა ორკესტრ „რეროსთან". ახლაც ბევრს ახსოვს ის საღამო — „ფარნები" და „გაზაფხულის ბრალია", ყვავილები და ოვაციები.

შემდეგ გასტროლები საქართველოს ქალაქებში, მოსკოვში, შემდეგ — შოტლანდია, ინგლისი, ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია. გაზეთებში — აღტაცებული რეცენზიები, ახალი მეგობრები, ახალი სიმღერები...

ამ კედელთან მისი სამუშაო მაგიდა დგას. ყუთი სავსეა უცხოური მარკებით აჭრელებული საფოსტო ბარათებით. ერთი მათგანი, დღეს მიღებული, მაგიდაზეც დევს — პოლონეთიდანაა.

— პოლონეთიდან რომ დავბრუნდი, კონცერტში მივიღე მონაწილეობა, რომელიც ჩვენმა რადიოკომიტეტმა სპეციალურად პოლონეთისათვის მოაწყო. ჯერ სიტყვით მივმართე ჩემს პოლონელ მეგობრებს, შემდეგ ვიმღერე. რამდენი მადლობა, რამდენი სიხარული მომიტანეს ბარათებმა ვარშავიდან, კრაკოვიდან...

მინდა საკავშირო რადიოფესტივალის შესახებ მითხრას რამე, რომელშიც ლილი გეგელიამ მიიღო მონაწილეობა თხუთმეტი რესპუბლიკის ცხრაას შემსრულებელთან ერთად და მეორე პრემია მოიპოვა. მაგრამ გვიანაა, კონცერტის შემდეგ მას დასვენება სჭირდება.

უკანასკნელი შეკითხვები:

— რაზე ოცნებობთ?

— ახალ კარგ სიმღერებზე. მე ცოცხალ, მხიარულ სიმღერებს ვნატრობ, ახალ „ია-იას"...

— თქვენი ყველაზე დიდი სიყვარული?

— ჩემი ქეთინო.

— ყველაზე საყვარელი სიმღერა?

— რომელიც ჯერ არ მიმღერია...

ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში წყნარად რეკავს საათი.

ახლა ქალაქში გაზაფხულმა გახსნა ყველა ფანჯარა. ფანჯრის იქით შფოთავს, ბორგავს, რიჟრაჟამდე ვერ მშვიდდება ქალაქი. ქუჩები კი სავსეა დამსკდარი კვირტების წებოვანი სურნელებით და სამხრეთული გაზაფხულის დაფარული ღელვით.

ალბათ, ასე მოდის გაზაფხული ყველა ქალაქში. და იქნებ სადღაც, ვინმე ძილგანაკრთობი შუქჩამქრალ ოთახში ფრთხილად სინჯავს რადიომიმღების სრიალა კედელს. ინთება და მწვანედ ცახცახებს მიმღების ნათურა. ეთერში ხმების ქაოსია, ეთერში ირევა ხმები სხვადასხვა, აუარებელი.

და უცბათ ამათში გამოიჭრება ერთი — დაბალი, ჟღერადი, რომელიც გეძახის, რაღაცას გპირდება. და იმ უცნობს, იმ ვიღაცას უცებ მოუნდება ხელის ფათურით მოძებნოს ტანსაცმელი, ადგეს და გავიდეს გაზაფხულის ასეთ ღამეში, ადგეს და დატოვოს ოთხი კედელი...

ალბათ, ეს მართლაც ბედნიერებაა — სადმე, დედამიწის რომელიმე კუთხეში ვინმემ, უცნობმა შენთვის გატეხოს ღამე და მიმღებში ფრთხილად ეძებოს შენი ხმა.

ალბათ, ძალიან კარგია, როცა შენი უსაყვარლესი სიმღერა არის ის, რომელიც ჯერ არ გიმღერია, რომელიც ჯერ არ დაწერილა და რომელიც შენთან მოაქვს აი, ასეთ გაზაფხულის საღამოს, როგორც ბუნდოვანი მოგონება რაღაც შორეულის და ნახევრად დავიწყებულის;

როცა კონცერტის შემდეგ დგას ასეთი ღამე, სკამის ზურგზე ისვენებს შინდისფერი მაქმანის კაბა და მაგიდაზე დევს წერილი, რომელიც იწყება ასე:

„თქვენს სიმღერას ახლა ხშირად გადმოსცემს ვარშავის რადიო. თქვენ ხმას მაშინვე ვცნობთ — განა მისი დავიწყება შეიძლება?"

ნანული ბარათაშვილი

---

(დასაწყისი იხ. 10 გვ.)

— რაო, რა მოხდა? —თან ქათმის კუჭს ყვითელი კანი გადააძრო.

ლილიმ უფრო ენერგიულად განაგრძო ცომის ზელა. სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

მადლობა ღმერთს, ვანო ნუნუს დასანიშნად მოვიდა. მთელი სოფელი ჭორაობს, ერთმანეთი უყვართო. ნუნუს ხმა ვერ ამოვაღებინეთ. გივი დარდისაგან ღამეებს თეთრად ათენებდა. თუ სერიოზულად ფიქრობს, მოვიდეს და მითხრას, თუ არა და ხომ არ ჰგონია, რახან ობოლია,გავალანძღვინებო? გული მისკდებოდა, უბედურება არ მოხდეს მეთქი. გივის ამბავი ხომ იცი, წყნარი კია, მაგრამ თუ გაბრაზდა, აღარავის დაინდობს. ხომ იცი, როგორ გვიყვარს ნუნუ, გივის ძმისშვილია, მაგრამ ისე გავზარდეთ, შვილებში არ გამოგვირჩევია... მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

არაფერიც არ მოხდა...

ციალამ ახლა მეორე ქათმის გასუფთავებას მიჰყო ხელი, ლილი ისევ ცომს ზელავდა და თან მხიარულად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ რაც უნდა თქვან, ქალის ბედი მაინც ოჯახია, ოღონდ მთავარია, კარგი ქმარი შეგხვდეს. აი მაგალითად, ვანო ლამაზი და ჭკვიანია, კარგი, შეძლებული ოჯახის შვილი, დამჯდარი გონების პატრონი და თანაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე. რაც ეგ დანიშნეს, სოფელმა სული მოითქვა... ნუნუს პირდაპირ ბედი ეწვია.

ლილი ახლა ხაჭაპურებს აცხობდა, ციალა კი ქათმებს ასოასოდ ჭრიდა. მერე შემოვიდა თენგიზი. დაიწყო ნამდვილი სამზადისი და ციალაც კმაყოფილი იყო, რომ ამ აურზაურში მისთვის არავის ეცალა. ახლა იგი მხოლოდ ერთს ფიქრობდა: როგორ წასულიყო სუფრის გაშლამდე...

რასაკვირველია, მისი გაშვება არაფრით არ უნდოდათ. ნუნუც კი, რომელიც სიხარულისაგან თავგზააბნეული ამაოდ ცდილობდა შეერჩია რომელიმე კაბა, მორცხვად ეხვეწებოდა, დარჩით, დეიდა ციალაო...

„დეიდა ციალა"...

ციალა ოცდაშვიდი წლისაა, ნუნუ თვრამეტის, ვანო კი ოცდაცხრის.

— მოიცა, გოგო. მე კი ვერა და, თენგიზი გაგაცილებს, — უთხრა ნაწყენმა გივიმ. — ძლივს გვესტუმრე და ისიც ასე გარბიხარ. სად მიგეჩქარება, შენი თავმჯდომარე და შენი ბაღვენახები არსად გაგექცევა.

ციალამ ნაძალადევად გაიცინა.

— გაცილება რათ მინდა. პირველად ხომ არ მიხდება მარტო სიარული?

და ციალა მარტო წავიდა...

ნელა ეშვებოდა ბინდი.

მაგრამ ციალას აღარსად მიეჩქარებოდა და ახლა, პირველად თავის სიცოცხლეში, ნელა მიდიოდა. სადღა იყო მოლოდინის ის ნეტარება, წეღან რომ ნაბიჯს აჩქარებინებდა.

ნელა ეშვებოდა ბინდი.

კუნელის და კვრინჩხის ტოტები ეწეოდნენ, თავისკენ იზიდავდნენ.

მთვარე გაოცებით იყურებოდა — განა შეიძლება ასეთ საღამოს ციალასავით მშვენიერი ქალი მარტო მიდიოდეს? თანაც ასე მოწყენილი ნაღვლითა და დარდით სავსე.... არა, მოწყენილი და ნაღვლიანი კი არა, გაოგნებული.

იმ გორაკის თავზე კოშკის აშენებაზე სხვაც თუ ოცნებობს.

ნუნუ... რა ბედნიერი იყო... ლამაზიც...

ვანომ კი ორიოდ სიტყვის თქმა ძლივს მოახერხა.

ხომ იცოდა ციალამ, რომ...

საღამოს სიგრილე ნელა აცხრობდა მზისგან ატრუსულ დედამიწას, ციალას გული კი არ აპირებდა დაცხრომას...

კუნელისა და კვრინჩხის ბუჩქები ჩამოეცალნენ, რატომღაც აღარ ეკიდებოდნენ.

მთვარემ ახლა მხარმარცხნივ გადაინაცვლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეწყვეტილი სადღეგრძელი

(ნამდვილი ამბავი)

მხატვარი—ნანი შალიკაშვილი

ჩვენი პატარა ქალაქის რესტორანიდან მამლის ყივილივით ისმოდა. აკორდეონზე ქანცმილეული მომღერლის გაბმული სიმღერა, მოქეიფეთა ჟრიამული.

გარეთ თოვდა.

რესტორანის დარბაზში კი, მაგიდის გარშემო, ხუთი ვაჟკაცი იჯდა. ერთმანეთისაგან თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდნენ: ყბები შელეწოდათ, თვალები დასიებოდათ, ღვინისაგან გახურებული, მუხის კუნძივით დამძიმებულ თავებს ძლივსღა იმაგრებდნენ. ყბედობით მოქანცულნი, ახლა მხოლოდ ხვნეშოდნენ, ლუღლუღებდნენ, რაიმეს სათქმელად ისე ახლოს მიჰქონდათ ერთმანეთთან თავ-პირი, თითქოს დიდი საიდუმლოების გამჟღავნებას აპირებენო.

ადგომას არცერთი არ აპირებდა. ჯდომა ხუთივეს უჭირდა. რა ვაჟკაცობაა ქართული სუფრის მიტოვება? ხელში აწეული ჭიქის ბოლომდე არ გამოცლა!?

აი, მაგიდის თავში მჯდომმა ბრგე ვაჟკაცმა თავს ძალა დაატანა, წამოიწია. მხრებში გაიშალა, მეგობრებს უაზრო ღიმილით მოავლო თვალი, მარცხენა ხელი ღიპზე დაისვა, მარჯვენით სავსე ჭიქას დაებღაუჭა და ომახიანად შესძახა:

— მეგობრებო!

ყველა თამადას მიაშტერდა.

კუთხეში მიჭყლეტილმა ჩია ტანის კაცმა, რომელიც უკვე თვლემდა, ბეღურასავით შეიფრთხიალა, თვალები ჭყიტა და თამადისაკენ მიქცეულ პირს ღიმი შეაპარა.

— მე მინდა ამ სასმისით ყველაზე ძვირფასი სადღეგრძელო შევსვა. დიახ... ამ ჭიქით მე ჩვენი მშობლების სადღე...

და თამადამ ვერ დაამთავრა. ომახიან ხმას ხრინწი შეეპარა და ისეთი სლოკინი აუვარდა, რომ ოთხივე მეგობარმა ვაჟკაცურად დააღწია თვლემას თავი. თამადა შეცბა. დაიბნა. წუთით სლოკინი შეიკავა, პირი დააღო, ალბათ შეწყვეტილი სადღეგრძელოს გაგრძელება თუ სურდა, მაგრამ სლოკინმა იძალა, არ დაანება.

ტუჩებზე შეეყინა სათქმელი თამადას.

—არაფერია... არაფერია... —ალუღლუღდა თამადის გვერდით მჯდომი შუახნის კაცი, რომელსაც ოფლმომსკდარი მელოტი თავი სარკესავით ულაპლაპებდა.—აბა ერთი ტკბილი სიმღერა და... ყველაფერი გაივლის!

ჩია ტანის კაცი უშნოდ დაიღმიჭა, ყელის ძარღვები დასჭიმა, ნახევრად უკბილო ყბა ჩამოაგდო და ისე გამეტებით გასწია წინ, რომ მის გვერდით მჯდომი ქოსა კაცი გვერდზე გადაიხარა. დარბაზში ყრუ ხრიალი გაისმა.

„მასპინძელ კარგად მასპინძლობს, გულითა მხიარულითა!..“ წუთის შემდეგ ტკბილი კახური სიმღერა იმ სუფრასავით წაბილწეს, რომლის გარშემოც ისხდნენ.

თამადა ცუდ გონებაზე დადგა... „ეჰ, არც ამაში ჰქონია საწყალ დედაჩემს ბედიო!,“ —გაიფიქრა და შავი ღვინით სავსე ჭიქაში თავისი ახალმთვარესავით მილეული, სანთელივით ჩამოღვრილი და დამდნარი დედის ცრემლიანი თვალები დალანდა. შეაჟრჟოლა, დანესტილ შუბლზე ხელი მოისვა, ზმანებას შეებრძოლა, მაგრამ რასაც თვალი დაადო, ყველაფრიდან დედის ნაღვლიანმა თვალებმა შემოხედა. გაუკვირდა, რა მემართებაო.

ღვინომოჭარბებულმა, ზმანებას თავი ვეღარ დააღწია, დანებდა, დაჰყვა.

...ოროთახიანი პატარა ბინა, ორთქლითა და ოხშივარით გამოტენილი, ჭუჭყიანი სარეცხით გავსებული და დამძიმებული. წელში ოთხად მოკეცილი, მხრებჩამოყრილი დედა, დღედაღამ მოფუსფუსე, იატაკზე დახრილი და დაჩოქილი. მეორე ოთახი — უმამოდ დარჩენილი, სამი უპერანგო ბიჭის სამყოფელი და საძინებელი, ყოველთვის გაკრიალებული და სუფთა. დღითიდღე დედა წელში იხრება... შვილები წელში იმართებიან. ოდესღაც სილამაზით სახელგანთქმული ქალი, სახნისის პირივით დაილია, უდროოდ გათეთრდა, სმენა დააკლდა, თვალის გუგები შეემღვრა, მოიკუნტა და დაპატარავდა...

სამი ვაჟკაცი ლერწამივით აიშოლტა, მხრებში გაიშალა და გალამაზდა... მარტოხელა დედა შვილებს მტლედ დაედო, უმამობა არ აგრძნობინა, არაფერი დააკლო; უმცროსი შვილი მშენებლობის მთავარი ინჟინერია, სახელმოხვეჭილი და ცნობილი. შუათანას ამ ცოტა ხნის წინათ ორასსაწოლიანი საავადმყოფო ჩააბარეს; უფროსი (თამადა) ტექნოლოგია, მეღვინე.

დედა? დედამ ჯერ უფროს ვაჟთან დაიდო ბინა. ცალკე ოთახი მიუჩინეს. თავს ევლებოდნენ. მთელი წლის განმავლობაში ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ხარობდა დედა შვილების ბედნიერებით. მეორე წლის დასაწყისში ოჯახი გაიზარდა... რიგიდან ჩამოტანილმა ავეჯმა იძალა, მოხუცი დედა, ხმარებიდან გამოსული ნივთივით, ჯერ აივანზე, შემდეგ კი სამზარეულოში, კუთხეში მიჭყლიტეს. ზამთარში საკუჭნაოში ახალმა სამზარეულო გარნიტურმა შეანათა და... რძალი აბუზღუნდა, შვილმა ცხვირი დაუშვა. „საკმარისია! შენს გარდა კიდევ ჰყავს შვილები, მგონი. ახლა მათთან გადავიდეს“... და დედაც შუათანა შვილთან წავიდა. შვილიშვილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აივანზე ფუთით ხელში ამოსული ბებია დაინახეს. შემოეხვივნენ, მუხლებზე აუცოცდნენ, დამჭკნარ ლოყებზე ხელები მოუთათუნეს, მიეხუტნენ. ჯარასავით დატრიალებდა მოხუცი, ოჯახს სუსტი მხრები შეუდგა. ბავშვებისათვის უკეთეს მომვლელს და პატრონს ვერავინ ინატრებდა, მაგრამ... ერთ საღამოს სკამლოგინზე მოკეცილ დედას რძლის ჩურჩული ჩაესმა, შვილებს ტუქსავდა: „რას ეხვევით? რა სულში უძვრებით? სადაც დაჯდება, თავის სუნს ტოვებს. რაც ჩვენთან არის, კაბა არ გამოუცვლია და“... სიტყვა გაუწყდა რძალს, აზრის დამთავრება გაუჭირდა, ერთხანს ეცადა წინადადების შეკოწიწებას, მაგრამ რაკი ვერ მოახერხა, ეს-ღა დაუმატა გაცოფებულმა: — „თან ჭირივით სძულხართ“. გაკვირვებული ბავშვები, თვალებდაჭყეტილი შესცქეროდნენ დედას. მაგიდასთან მჯდომმა შუათანა შვილმა თავი ასწია, ცოლს გადახედა.

— რას მიყურებ. ჯერ ასეთი მჭამელი დედაკაცი არ მინახავს, მთელი დღე კარადასთან დგას და იტენება...

ორი დღის შემდეგ ფუთაამოჩრილი დედა უმცროსი შვილის კარს მიადგა. აივანზე არ ჰქონდა მოხუცს ფეხი დადგმული, რომ რძალმა შეაგება: „ოჰ, რა დროს გვესტუმრეთ?! ამ ორ დღეში რემონტს ვიწყებთ და ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ გვექნება“...

მუხლი მოეკვეთა დედას. სად წავიდეს? ვის მიადგეს სამი ვაჟის პატრონი? და შვილებმაც „უპატრონეს“. ორი დღე იმსჯელეს, იკამათეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს: ცალკე ბინა დაუჭირონ დედას და თვეში ოცი მანეთით გადაიხადონ დედის ვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი, უპატრონოდ, მარტოდმარტო გამოკეტეს თავისსავე სიგრძისა და სიგანის ოდენა ოთახში და დამშვიდნენ. პირველ ხანებში პირნათლად ასრულებდნენ შვილები ნათათბირევს. რამდენიმე წუთით შეირბენდნენ დედასთან, ორიოდე საალერსო სიტყვას მიუგდებდნენ, დროის უქონლობას მოიმიზეზებდნენ და გარბოდნენ. მაგრამ არც ეს გაგრძელდა დიდხანს. ჯერ უფროსმა უღალატა პირობას, დაენანა თვეში ოცი მანეთის გაღება, შემდეგ შუათანამ მიბაძა მას, ბოლოს, უმცროსმაც მიივიწყა დედისათვის ნაქირავები ბინის გზა.

დარჩა ულუკმაპუროდ წელში ოთხად მოხრილი, დამდნარი და გათეთრებული დედა, შვილებისაგან უპატრონოდ მიტოვებული. მაგრამ კეთილ ადამიანს რა დალევს ამ ქვეყანაზე! დღე არ გავიდოდა, რომელიმე მეზობელს კარი არ შეეღო, არ მოეკითხა, არ დაემშვიდებინა დედა, რომელიც დარდსა და ნაღველს გულში იკლავდა. ისევ შვილების მზეს ფიცულობდა და მათზე ძვირს სხვასაც არ ათქმევინებდა...

...თამადამ თავი ასწია. ალოხილ სუფრასა და მეგობრების მთვრალ სახეებს მოავლო თვალი, უცებ ფეხზე წამოიჭრა, ჭიქა აიტაცა, ფიქრობდა ყელში მობჯენილი ბოლმა სადღეგრძელოში დაეცალა... უცებ დარბაზის შემოსასვლელის კარი ყურთამდე გაიღო. იანვრის სუსხი ელვის სისწრაფით შემოიჭრა და დაერია თბილ ოთახში მჯდომ მოქეიფეებს. ჩია ტანის კაცმა იძალა, წამოდგა და ის იყო უნდა შეეყვირა, რომ კარებში პირქვე დავარდნილი დედაბერი შენიშნა და ხმა ყელში გაეჩხირა...

ეტყობოდა, კარზე მომდგარს ფეხი ასხლტომოდა, თავი ვეღარ შეეკავებინა და დავარდნილიყო. კაფანდარა ოფიციანტი უცებ მოსწყდა ადგილს, მოხუცთან მიიჭრა და წამოაყენა.

— ვაჰ! შე დალოცვილო, ფრთხილად ვერ გადმოდგი ფეხი? — უსაყვედურა.

მოხუცს სიცივისაგან თუ ტკივილისაგან დანაოჭებული სახე მოღრეცოდა, ნიკაპი უთრთოდა, უკბილო პირში დიდხანს აცოდვილა სათქმელი, ბოლოს, როგორც იყო ამოიხრიალა:

— რა ვქნა, შვილო, სიბნელიდან რომ შემოვედი, დიდმა სინათლემ თვალი მომჭრა.

— მერე რაღას დადიხარ? ამ ღამისას გარეთ გამოსვლა რამ გაგაბედინა?

— ასანთი მინდა... ქარმა ლამფა ჩამიქრო... ეზოში ყველას ძინავს, შეწუხება ვერავისი გავბედე და... ისევ აქეთ წამოსვლა ვარჩიე... ღამის ძილი გამკრთალი მაქვს, შვილო... სიბნელე მაშინებს...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუკუნებდა მოხუცი და თან ნატკენ მუხლს ხელით იზელდა.

—ვააა...—გაბმით ჩაიხლიჩინა ოფიციანტმა და მოქეიფეებს გადახედა. გამოფხიზლებული თვალებით შესცქეროდა შემკრთალი და აბუზული თამადა შემოსულს. ამ სანთელივით ჩამოღვრილ დედაკაცს იანვრის მკაცრი ყინვა შემოეტანა დარბაზში...

— შვილები არა გყავს, დედი? რა ღმერთი გაუწყრათ, რომ შენ გამოგიშვეს გარეთ? — არ ეშვებოდა ოფიციანტი.

უკვე სინათლეზე თვალშეჩვეულმა ქალმა თავი დახარა. კაბის კალთას მისწვდა, აიწია. ჩარღვეულ წინდაში თითები შეაცოცა, იქიდან კვანძებად ქცეული ცხვირსახოცი ამოიღო, აკანკალებულ გათოშილ თითებს უკბილო პირი მიაშველა, როგორც იყო, ერთ-ერთი კვანძი გამოხსნა, ერთხანს ხურდა ფული აჩხრიალა, შაურიანი ამოარჩია და ოფიციანტს გაუწოდა.

— დედაშვილობამ, ორი კოლოფი ასანთი მომეცი.

ოფიციანტმა დაიწია.

— რას ამბობ, დედი? ორი კი არა, ათი წაიღე... ოცი... ეგ ფული კი ისევ ცხვირსახოცში შეახვიე... ჰო... შეახვიე მეთქი...—და დაბნეული ოფიციანტი ადგილს მოსწყდა, მაგრამ ვიდრე ნაბიჯს წინ წასდგამდა, გაშეშდა. აქამდე ფეხზე მდგარი თამადა შექანდა, ღონოდ დაეშვა სკამზე და ამოილუღლუღა!

— დედა...

**დავით კეჟერაძე**

თელავი



# შენი დაუწერელი წიგნები...

მას არ ჰყვარებია ხმამაღალი სიტყვები. არც დიდებაზე უოცნებია არასდროს. ერთი უბრალო ქართველი ქალია, ტირიფის შტოსავით სუსტი და თაფლისფერთვალება. ფიქრობს, რომ მისი საქმე ყველაზე რთული და კეთილშობილურია, ყველაზე სათუთი და სუფთა. ამიტომ ცდილობს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არ დაკარგოს ის სითბო, პირველი ავადმყოფის გასინჯვისას რომ იგრძნო.

იყო საზღვარგარეთ. სწავლობდა გამოჩენილ პროფესორებთან, კლინიკებში — ჰამბურგში, ვენაში, ბერლინში, მაგრამ ყველაზე სასარგებლო და ძვირფასი მაინც თავის მშობლიურ მიწაზე, თავის საყვარელ ხალხთან შეიძინა.

— რა გაწუხებს, — ხშირად ეკითხებოდა 16 წლის გოგონას, ბებიას რომ მოეყვანა მასთან.

— გასინჯე და გაიგებ.—და ისიც ცდილობდა ყველაფერი გაეგო. ათენებდა ღამეებს წიგნებთან, ჟურნალებთან.

— ქეთო მალე თვითონ გახდება საქიმო, — უთქვამთ მეგობრებს, როცა აცრემლებულ ქეთევანს მისი ავადმყოფის მდგომარეობა მოუყოლია.

— ყველაფერს ნუ მიიტან გულთან, — დაურიგებიათ, მაგრამ მან იცის, რომ გულს არ შეუძლია იფეთქოს დინჯად, თუ გვერდით კვნესიან, უჭირთ, შველას ითხოვენ...

არასდროს ჰყვარებია ხმამაღალი სიტყვები... დღეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სახელს ატარებს ქეთევან ფხაკაძე-ცომაია, თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვეგეტოპათოლოგიის განყოფილების გამგე.

ბავშვობაში გატაცებული იყო მათემატიკით, ფიზიკით. ურჩევდნენ მშენებელი გამხდარიყო. მაგრამ არა, მას უნდოდა უფრო ახლო ყოფილიყო ადამიანებთან, ეგრძნო მაჯისცემა.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

იგონებს ქალიშვილობას და სიყვარულის ლამაზ წუთებს ქეთევანი და თვალები მოგონებებით ინისლებიან. მაშინ იპოვნა მეგობარი, ამხანაგი და ცხოვრების ერთგული მეგზური.

იგი იყო მაღალი, მოუსვენარი კაცი. სახეზე ყოველთვის კმაყოფილი ღიმილი უთამაშებდა. თვალები კი დიდი, ნაღვლიანი ჰქონდა.

პროფესორი კლიმენტი ცომაია. ერთად გაიარეს ყველაზე მძიმე წლები. იყოფდნენ სიხარულსა და მწუხარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად ათენებდნენ ღამეებს წიგნებთან.

შემდეგ იყო 1937 წლის მძიმე დღეები.

კლიმენტი წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა. მის ხსოვნას დღესაც წმინდად ინახავს ქეთევანი.

მის უიმედო ლოდინში ნაოჭები ჩაიკეცა სადღაც თვალებთან. მაგრამ ჭრილობამ შრომის უნარი არ წაართვა. ამ წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

შემდეგ ომის ღრუბლებმა დაჰფარა ცა და საავადმყოფოები ჰოსპიტლებად გადაკეთდა.

„თბილისი. საევაკუაციო ჰოსპიტალი, ნევროპათოლოგს ქეთევან ფხაკაძეს...“

მოდიოდა წერილები თითქმის ყოველდღე, პატარა სამკუთხედად გაკეცილი ფურცლები საველე ფოსტის ნომრით.

ფურცლებს კვლავ შერჩენოდათ დენთისა და მტვრის სუნი, ალბათ წერდნენ სანგრებში, როცა წამით შეწყდებოდა ხოლმე სროლა... იყო უბრალო, გულწრფელი სტრიქონები მადლობას უხდიდნენ ამ სათნო ქალს, ძალა რომ დაუბრუნა მათ მარჯვენას...

ფრონტის ხაზი ჩვენი ქალაქიდან შორს, თმაშევერცხლილ კავკასიონთან გადიოდა, მაგრამ მის სუნთქვას სულ ახლო გრძნობდა ქეთევანი, როცა ეხებოდა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცის დამბლადაცემულ ხელ-ფეხს, როცა შესცქეროდა ჯარისკაცის მზერადაკარგულ თვალებს.

გრძნობდა და იბრძოდა...

ეს იყო ყველაზე ძნელი, ყველაზე საშინელი ბრძოლა. მისთვის ამ დროს არ არსებობდა დღე, ღამე, კვირა. დაჭრილები მოჰყავდათ ასობით, ათასობით. ტყდებოდა ღამეები მათ საწოლთან. არ იღლებოდნენ ხელები... იყო მხოლოდ ერთი აზრი, ერთი მიზანი — ვაჟკაცისათვის დაებრუნებინა შრომის უნარი.

და იღიმებოდა, როცა ფეხზე დააყენებდა ოცი წლის ჭაბუკს, ასწავლიდა სიარულს, შეჰხაროდა მის პირველ ნაბიჯებს...

იღიმებოდა, როცა ხედავდა ჯანმრთელებს, ჯარისკაცის მაზარით... ემშვიდობებოდნენ, უკოცნიდნენ ხელებს ამ სუსტ ქალს, მათ მხრებს რომ ძლივს სწვდებოდა.

იგონებს იმ დღეებს ქეთევანი და გრძნობს: თეთრხალათიანებისათვის ბრძოლა გრძელდება ამ ფართო, ნათელ ოთახებშიც.

ორი წყვილი თვალი შესცქერის მას მუდარით, იმედით. სულ ახლახან მოიყვანეს ეს ცოლ-ქმარი ნერვულ სნეულებათა კლინიკაში. დამბლამ წაართვა ხელ-ფეხი. ავადმყოფობა დაიწყო 13–15 დღის წინათ და მიმდინარეობდა ნელა, უმიზეზოდ, უსიცხოდ. შემდეგ აქვე, მის თვალწინ მათ ოთხ ბავშვსაც განუვითარდა დამბლა.

სულ პატარა ღაგვიანება, თითქოს უმნიშვნელო შეცდომა და ერთი ოჯახიდან ექვსი დაღუპული სიცოცხლე...

ყურადღებით დაათვალიერა მათი სახლი ქეთევანმა, გასინჯა ყველაფერი. შემდეგ ძალიან ხშირად შეუნიშნავთ მეზობლებს ეს დაბალი ქალი მოპირდაპირე ფარდულთან — პროდუქტებს ამოწმებდა.

გულდასმით ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ოჯახი იკვებებოდა ერბოთი, რომელიც რბილი პლასტიკატისაგან დამზადებულ საწვიმარში ინახებოდა. მაგრამ ერბოს არ შეეძლო მოეწამლა ისინი. იქნებ საწვიმარი შეიცავდა რაიმე მავნე ნივთიერებას, რომელმაც გამოიწვია ეს მძიმე დაავადება?

ყველაფერი დაიწყო უბრალო ცდით. ჩვეულებრივი ერბო გაახვიეს საწვიმარში. მოათავსეს თერმოსტატში. 3 დღის შემდეგ იგი აჭამეს კატას. მალე კატას განუვითარდა კიდურების დამბლა და დაიღუპა.

დადგინდა, რომ საწვიმარი შეიცავდა ტრიკრეზილფოსფატს, რომელიც მრეწველობაში იხმარება, როგორც პლასტიკური მასების დამარბილებელი მასალა.

გრძელი ღამეები მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. გარეთ ნაძვები ჩურჩულებდნენ. წვიმა აწყდებოდა ფანჯრებს და სტოვებდა ცრემლიან ნაკვალევს.

ამ მძიმე დღეებში არცერთი წუთით არ დაუტოვებია თავისი ავადმყოფები ქეთევანს. მკურნალობდა მედიკამენტოზური საშუალებებით, ფიზიოთერაპიით, რწმენით... ამხნევებდა, ანუგეშებდა.... გაზაფხული იყო, როდესაც ისინი წავიდნენ ამ ოთახიდან — ცოლქმარი და ოთხი პატარა ბიჭი, წავიდნენ და თან წაიღეს სიყვარული ამ ქალისა, ასე ახლობელი რომ გახდა მათთვის.

მოწამვლის შემთხვევები ხშირი ჰქონდა ქეთევანს. იგი ყურადღებით სწავლობდა მათ და ამ საფუძველზე შექმნა სადოქტორო დისერტაცია:

„კლინიკური და ექსპერიმენტული მასალები ტრიკრეზილფოსფატით მოწამვლის შემთხვევაში." მან დაამტკიცა, რომ ტრიკრეზილფოსფატს შეუძლია გამოიწვიოს ნერვული სისტემის მრავალი სხვადასხვა დაავადება.

დაამუშავა მკურნალობის ეფექტური მეთოდები. პირველმა გამოიყენა დიბაზოლი. ამისთვის გაემგზავრა 1950 წელს ქეთევან ფხაკაძე ლენინგრადში სამედიცინო აკადემიის ფარმაკოლოგიის კათედრაზე.

1954 წელს ის ისევ ჩავიდა ლენინგრადში, ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში ნერვული სისტემის კვლევის ახალი მეთოდების ასათვისებლად.

ჩვენს წინ მისი სამეცნიერო შრომების სიაა. ვათვალიერებთ და ვგრძნობთ, რომ ცხოვრების არცერთ წელს არ ჩაუვლია ქეთევანისთვის უნაყოფოდ.

40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ადამიანის გადასარჩენად.

კიდევ ბევრი დაუწერელი ფურცელი...

კიდევ მრავალი უთქმელი სიტყვა...

ლია თევზაძე

## ჩვენ გვერდით

# ნიჭიერი ბიბლიოგრაფი



1944 წლიდან ქუთაისის პედინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა საცნობარო ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. ამ მუშაობის მთავარი მიზანია ინსტიტუტის ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვება.

გამოცდილი ბიბლიოგრაფი თამარ ახვლედიანი მუშაობს ინსტიტუტის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის. მეცნიერ მუშაკთა დისერტაციები, სტუდენტთა მიერ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, ზოგადი ხასიათის სტატიები ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, პარტორგანიზაციისა და კომკავშირის მუშაობა, ადგილკომისა და პროფორგანიზაციის საქმიანობა, სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღება, სახელმწიფო გამოცდები, დაუსწრებელი სწავლება, სამეცნიეროკვლევითი მუშაობა—ყველაფერი ეს აინტერესებს ბიბლიოგრაფს.

1940 წლიდან უშვებს ქუთაისის პედინსტიტუტი შრომების კრებულს. თითქმის ყველა ტომს ამშვენებს თ. ახვლედიანის მიერ იშვიათი მუყაითობით შედგენილი ბიბლიოგრაფია.

ბიბლიოგრაფიის შედგენისას თ. ახვლედიანი მიზნად ისახავდა თავი მოეყარა წიგნებში, ცალკეულ კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალებისათვის, რომლებშიც ასახული იქნებოდა ქუთაისის პედინსტიტუტის ცხოვრებისა და მუშაობის ესა თუ ის მხარე. ყოველივე ამას კი ინსტიტუტის ისტორიისათვის ფასდაუდებელი ღირებულება აქვს.

მარტო აღნიშნულით როდი ამოიწურება თ. ახვლედიანის მუშაობა. მან შეადგინა თემატიკური კარტოტეკა ხელნაწერის სახით „განათლების სისტემა საბჭოთა კავშირში", სადაც ყურადღება გამახვილებულია სწავლების ორგანიზაციაზე, ცალკეული საგნების სწავლების მეთოდიკაზე; აქ თავმოყრილია საკითხთან დაკავშირებული ყველა სტატია რუსულ და ქართულ ენებზე, გამოქვეყნებული ბროშურების და ცალკე კრებულების სახით. ამ კარტოტეკით სარგებლობენ როგორც ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები და სტუდენტები, ისე ქალაქის სკოლების მასწავლებლები.

თამარმა შეადგინა აგრეთვე კარტოტეკა თემაზე: „ქართული საბჭოთა მწერლები რუსულად", კარტოტეკაში თავმოყრილია ყველა თარგმნილი კრიტიკული, პროზაული, პოეტური, დრამატული ნაწარმოები, გამოცემული ცალკე წიგნად თუ გამოქვეყნებული ჟურნალებში 1945-1961 წლებში. კარტოტეკა შედგება 4.000 სახელწოდებისაგან. თამარ ახვლედიანსვე ეკუთვნის კარტოტეკები და კატალოგები თემებზე: მარქსიზმის კლასიკოსები, სკკპ ყრილობები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, საქართველოს კპ ყრილობები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, საბჭოთა მწერლები — ლაურეატები, სკკპ XXII ყრილობა და ა. შ.

თ. ახვლედიანის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული შრომებისადმი ინტერესი დიდია არა მარტო ჩვენს ქალაქსა თუ რესპუბლიკაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, 1957 წლიდან თ. ახვლედიანის შრომები სისტემატურად იგზავნება აშშ კონგრესის ბიბლიოთეკისათვის ვაშინგტონში.

ამჟამად თ. ახვლედიანი მთელი გატაცებით მუშაობს მეცნიერ მუშაკთა მიერ შესრულებული საკვლევი თემების ბიბლიოგრაფიაზე.

რ. შამლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

✽

✽ ✽

კვლავ განმიახლდა გრძნობა დამქრალი,
მივიწყებული და მტვრით ნაფერი;
...თქვენ გადასჭერით ქუჩა კანკალით,
მე დავინახე ეს ყველაფერი...

რად არ მოვედი თქვენთან — მართალთან,
არ გაქეთ იგი, ვინც არ უქიათ.
რად არ გითხარით: ყრმობა გათავდა,
მაგრამ ყრმობაში თქვენი შუქია...

მზრდიდით, სინათლით უბეს მივსებდით,
გყავდით ალერსით ნასათუთევი,
თუმცა მე მაკლდა რაღაც ისეთი,
რაღაც დიდი და სიტყვით უთქმელი.

გახსოვთ?.. ხომ გახსოვთ... ცრემლმაც დაგჟონათ,
ცდილობდით მუდამ მეარა აღმა,
მაგრამ მე მქონდა მკაცრი ბავშვობა
და ზოგჯერ გულთან მტკიოდა რაღაც.

და ვგრძნობდი, ვიდექ თქვენს ჩრდილში კენტი,
როგორც იტყვიან: ცამდე მართალი.
იქნებ, გტანჯავდათ თქვენ ჩემზე მეტი,
თქვენც გჭირდებოდათ გული გამთბარი.

ბევრჯერ საკუთარ თავს დავემდურე:
თქვენთვის ყველაფრის მსურდა გამხელა...
მაგრამ ყოველთვის, ვით საყვედური,
გამოჩნდებოდა დედის სახება.

თქვენთან გზის გავლა არ მეადვილა,
თქვენგან გულს მტკენდა რაღაც მცირედი.
მე, თქვენს ადგილზე, ვიცი ნამდვილად,
დედას ყველაფერს ვაპატიებდი.

მე ოცნებები სხვა ფრთებით მზრდიდნენ,
თქვენ გქონდათ თქვენი მყუდრო მიზნები.
არ დამიჯერებთ?.. მე გნატრობთ კიდეც
და ხშირად, ხშირად დამესიზმრებით.

ვიცი, ჩაშლილა მოღლილ თვალებში
ფიქრი ნისლებად, სევდა ბინდებად,
და სულ პატარა ჰყოფნის ალერსი,
თქვენს დიდ სიხარულს და დამშვიდებას...

თუნდ ერთ სუნთქვაში გადნეთ, გაქვავდეთ,
მკილავი ენა მაინც შეგმურავთ...
დედინაცვალო, ვიცი, აქამდე
თქვენს ბედზე სხვებიც დაფიქრებულან.

ვკადნიერდები და გეტყვით მართალს, —
სიმართლე რაღა დასამალია:
ადრე დამაკლდა მე დედის კალთა,
მაგრამ ეს განა თქვენი ბრალია?

თქვენ შეუცვალეთ ჩემს ყრმობას ფერი,
ამ სინამდვილეს გვერდს ვინ აუვლის...
და რომ შვილივით მატარეთ გერი,
ესაა თქვენი „დანაშაული?..“

თქვენ, მოლოდინის სიამით სავსემ,
ჩემში სიკეთის თესეთ მარცვალი:
თქვენ დედის გულით გამათბეთ ისე...
მაშ, რისთვის გერქვათ დედინაცვალი?!

დიდსა და საპატიო მუშაობას ეწევა წითელი ჯვრის ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად იგი იბრძვის მოსახლეობაში პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გასატარებლად: ამზადებს სანიტარულ თავდაცვით კადრებს, რომლებიც თავიანთ მხრივ მომსახურებას უწევენ მოსახლეობას როგორც ბინებზე, ასევე ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

წითელი ჯვრის საქმიანობაში ერთ-ერთ სერიოზულ უბანს წარმოადგენს დონორებთან მუშაობა. იღებენ რა სისხლს, ამით დონორები ხელს უწყობენ სისხლის გადასხმის ინსტიტუტებსა და საავადმყოფოებს ადამიანთა გამოჯანმრთელების საქმეში.

წითელი ჯვრის მუშაკები ახდენენ მოსახლეობის გათვითცნობიერებას ატომური იარაღისაგან თავდაცვის საკითხებში.

საბჭოთა წითელი ჯვარი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სოციალისტური ჰუმანიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროგრესული პრინციპებით, დაუღალავად იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციამ თავისი არსებობის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია და გარკვეული წვლილი შეიტანა და შეაქვს საბჭოთა წითელი ჯვრის განვითარების საქმეში.

შარშან მან მეორე ადგილი დაიკავა საკავშირო მასშტაბით.

ჩვენი რესპუბლიკის წითელი ჯვრის ორგანიზაციის ასეთი მიღწევები გაპირობებულია იმ ადამიანების შრომით, რომლებიც ენერგიასა და დროს არ ზოგავენ თავიანთი საპატიო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ამ წერილში ჩვენ გვინდა ორი ასეთი ადამიანის შესახებ მოგითხროთ:

მარგარიტა წულეისკირი





ელენე კარსელიძე

ელენე თითქმის ჩვენი ეპოქის თანატოლია, მისი ცხოვრება ცოცხალ მატიანესა ჰგავს; ადრე დაობლებულს, საბჭოთა ხელისუფლება მოევლინა მშობლად, გაზარდა, დააქალა და თავისი ღირსეული ადგილი მიუჩინა ცხოვრებაში.

1945 წლის თებერვალში მოვიდა ელენე წითელი ჯვრის ორჯონიკიძის რაიკომში, მოვიდა და მთელი ენერგიით შეუდგა მუშაობას. ვერაგი მტერი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მაგრამ მის მიერ დაღვრილი სისხლი განახლებას მოითხოვდა; დონორებთან მუშაობა მაშინ ძირითადი იყო წითელი ჯვრის ორგანიზაციების საქმიანობაში. ათასობით დონორი იღებდა სისხლს მოძმეთა გადასარჩენად.

დონორები ახლაცაა საჭირო ჩვენი მედიცინისათვის. საწერ მაგიდაზე პირამიდებივით აღმართულა საპატიო დონორის სამკერდე ნიშნების კოლოფები, როგორც უტყუარი ნიშანი ელენეს კარგი მუშაობისა.

დონორი, რომელიც 4 კილოგრამზე მეტ სისხლს გასცემს, ჯილდოვდება საპატიო დონორის სამკერდე ნიშნით.

— ასეთები კი ძალიან ბევრია, — გვეუბნება ელენე და მზერა კოლოფზე გადააქვს. — აგერ ზოგიერთის გვარებს მოგახსენებთ: მარიამ გულისაშვილი, რომელსაც 24 ლიტრი სისხლი აქვს გაღებული, ეკატერინე ჩიტაშვილი, ტატიანა გარბუზოვა და მრავალი სხვა. ზოგიერთი დონორი უსასყიდლოდაც კი აძლევს სისხლს სახელმწიფოს.

ორჯონიკიძის რაიონმა, რომელიც წლების მანძილზე თბილისის რაიონებს შორის პირველი ადგილზე გამოდიოდა, 1961 წელს მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ ელენე იმედს როდი კარგავს:

— პირველი ადგილი ისევ ჩვენი იქნება, აი შეხედეთ ამას, — კედელზე გაკრულ დროშისაკენ გვითითებს, — ეს გარდამავალი დროშა ჩვენმა რაიონმა ათი წლის წინ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიიღო და მას შემდეგ სამუდამოდ ჩვენთან დარჩა! — უსმენთ ამ სიმპატიურ, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ქალს და გჯერათ მისი.

წითელი ჯვრის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაცია 42.820 კაცს აერთიანებს. არც ისე ადვილია ამხელა ორგანიზაციისათვის თავის გართმევა.

ელენე კვლავ ახალგაზრდული ენთუზიაზმითაა სავსე, დაუღალავად შრომობს და ახალ წარმატებებზე ოცნებობს.

1948 წლის გაზაფხულზე წითელი ჯვრის კალინინის რაიკომში მოსკოვიდან მოსალოცი დეპეშა მიიღეს, დეპეშა რაიკომის თავმჯდომარის მარგარიტა დიმიტრის ასულ წულეისკირის სახელზე იყო, წითელი ჯვრის საკავშირო კომიტეტი საკავშირო კონკურსში მისი რაიონის მეორე ადგილზე გამოსვლას ულოცავდა.

უზარმაზარ აქტივთან ერთად დაუღალავად შრომობს მარგარიტა. რა წუთსაც არ უნდა მიხვიდეთ მასთან, მუდამ დაკავებულია: ხან ინსტრუქტაჟს აძლევს რომელიმე აქტივისტს, ხან დონორებს ესაუბრება, ხან საწევრო ბარათებს ავსებს, ხან კიდევ... რომელიმე საშეფო ორგანიზაციის ხელმძღვანელს ელაპარაკება ტელეფონით. კალინინის რაიონში რამოდენიმე თეატრია და მათგან თითქმის ყველამ იკისრა შეფობა წითელი ჯვრის ორგანიზაციაზე; წელიწადში ერთი ან ორი სპექტაკლის შემოსავალს თეატრის კოლექტივი წითელი ჯვრის ორგანიზაციას აძლევს, წითელი ჯვარი კი თავის მხრივ ამ თანხას ახმარს მცირეხელფასიანი მშობლების შვილებს. ასეთი ბავშვები აღრიცხულია რაიონის ყველა სკოლაში და უფასო საუზმეს იღებენ.

ხშირად ნახავთ მარგარიტას ბავშვებით გარშემორტყმულს, როცა ის რომელიმე სკოლას ესტუმრება. „დეიდა მარგო მოდისო“, დაიძახებს რომელიმე და ერთ წუთში მათ „ტყვეობაში“ აღმოჩნდება ხოლმე. თითქმის ყველა სკოლაში ამზადებენ ნორჩი სანიტრების ჯგუფს, რომლებმაც საჭიროების შემთხვევაში პირველი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ამხანაგებს, და დეიდა მარგოც ამიტომაა ხშირად მათთან. უნდა ნახოთ „სანიტარ“ გოგონების სიხარული, როცა მათ წითელჯვრიან, გაქათქათებულ სამკლაურს გაუკეთებენ და აქტივისტის მოწმობას ჩააბარებენ. მერე მედიდური სახით დადიან ისინი საკლასო ოთახში და ხელების სისუფთავეს უმოწმებენ თანაკლასელებს...

1961 წელს კალინინის რაიონულმა ორგანიზაციამ თბილისის რაიონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა, ეს ყველაზე დიდი ჯილდო იყო მარგარიტასათვის, რომელიც მთელი მონდომებითა და გატაცებით იბრძვის უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

**ნანული სიმონიძე**

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# შეკითხვებს-ვუპასუხოთ!

სამყარო, რომელშიც ბავშვს უხდება ცხოვრება, განუსაზღვრელად დიდია და საგანთა რაოდენობა-უსასრულო. ბავშვის გონება შეუსვენებლად მუშაობს, მიილტვის აითვისოს თვითეული საგანი, თვითეული მოვლენა. ბავშვი განუწყვეტელ ძიებაშია. ვერ ასწრებს ერთი საგნის აღქმას, რომ მეორე აღიმართება მის წინ. გიფიქრიათ როდესმე იმაზე, თუ რატომ დარბის ბავშვი? სირბილი მისი ბუნების მოთხოვნილებაა — შეიჭრას უცნობი სამყაროს სიღრმეში, შეიცნოს იგი. მის ყურადღებას ყოველი ნივთი იპყრობს, ულიმის და იზიდავს. ბავშვი დარბის არა იმის გამო, რომ ეს მისთვის სავალდებულოა, არამედ იმიტომ, რომ ეჩქარება საგნებთან სიახლოვე, რათა მალე აღიქვას ისინი. ვთქვათ, ქვა დაინახა ძირს დაგდებული. ფეხი გაჰკრა—ქვა გადაადგილდა. ბავშვს ეს ამბავი ახარებს.

ძლიერი სწრაფვა ბავშვისა—მალე შეიცნოს უცნობი სამყარო, ავსებს მის გონებას. ბავშვი მუდმივ ძიებაშია და თავისი უსუსურობის გამო დასაყრდენს დიდ ადამიანებში ხედავს. მშობლები მას უვლიან, აჭმევენ, აცმევენ და ახურავენ. უტყუარი ინსტიქტი ბავშვს უკარნახებს, რომ მშობლებს შეუძლიათ მას ამ დიდ საქმეშიც გაუწიონ დახმარება. ამ დახმარების მოლოდინში ბავშვს პირზე დღენიადაგ ერთიდაიგივე სიტყვა აკერია: — რატომ?

ადრეულ წლებში ბავშვების შეკითხვები უცნაურია. ისინი ლაპარაკობენ თავისებური ენით. რა გაეწყობა, ბუნებას ასე სურს. ჩვენ უნდა გავუგოთ და დავუთმოთ, ნუ ვუსაყვედურებთ და ნუ ჩავუკლავთ კითხვებზე პასუხის მოლოდინში აღძრულ სიხარულს განუწყვეტელი შესწორებებით. თქვენ და თქვენი ბავშვი, მართალია, ერთმანეთთან სხვადასხვა ენაზე საუბრობთ, მაგრამ კარგად გესმით ერთმანეთის. ბავშვს არ სურს იყოს გამონაკლისი დიდებისაგან. ის საოცარი სისწრაფით იჭერს მათ ბაგეებზე უცხო გამოთქმებს და გადაამუშავებს გონებაში.

ერთ საღამოს მეგობარს ვეწვიე. ვიცოდი, ოჯახში ბავშვი შემომეგებებოდა, ამიტომ მისთვის საჩუქარი წავიღე.

ოთხი წლის აჩიკოს დედის კაბისთვის ჩაევლო ხელი და ცნობისმოყვარე თვალებით შემომჩერებოდა. მრგვალ საგანს, ხელში რომ მეჭირა, სახვევი შემოაცალა. გულწითელა ბურთი აჩიკოს ფეხებთან იატაკზე დაენარცხა, მაღლა ავარდა, თავზე გადაუარა და გაგორდა. თვალებგაბრწყინებული ბავშვი ბურთს დაედევნა.

სტუმარმასპინძლები ერთმანეთით ვიყავით გართული. პატარა ბიჭუნა დედას მიუახლოვდა და სერიოზულად ჰკითხა:

— დედიკო, ლატომ ხტის ბულთი?

— რატომ, რატომ, რატომ... მომკლა ამდენმა შეკითხვებმა! ნამდვილად კითხვის ნიშანია ეს ბავშვი!

— ალ მინდა. მე ბიჭი ვალ! — ისევ სერიოზულად სთქვა ბავშვმა.

ბუთხუზა ბიჭის ბაგეებზე და თვალებში კითხვის ნიშანი იყო აღბეჭდილი. მიუხედავად ამისა, მაინც ზედმეტად მომეჩვენა ბავშვისათვის ზედმეტი სახელის შერქმევა და ნამდვილი პასუხისგან თავის არიდება. დედა თავს იმართლებდა— თავი მომაბეზრა გაუთავებელი შეკითხვებითო. ბავშვმა დედას უნდობლად შეხედა და კვლავ ბურთს მიუბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს ახალი საძიებელი გაუჩნდა. ამჯერად მამას მიმართა:

— მამიკო, ბულთს ალ უნდა ძილი? სად დავაწვინოთ?

დედა იცინის:

— ახლა შენი ჯერი დადგა და გაუძელი!— უთხრა ქმარს.

— ამაღამ იოლად წავიდეთ, ხვალ კი საწოლს ვუყიდი შენ ბურთს, — უთხრა მამამ ხუმრობის კილოთი.

ბავშვს შევხედე. ფართოდ გახელილი თვალებით მამას მიჩერებოდა. ირწმუნა, რომ მისი ბურთი ხვალიდან ახალ საწოლში დაიძინებდა. „რა იქნება ხვალ“ — გავიფიქრე და გულის სიღრმეში ჩხვლეტა ვიგრძენი.

— „რა მოხდა ასეთი?“ — იკითხავს ზოგიერთი მკითხველი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, აქ აღწერილ პატარა ამბავშიც არის მნიშვნელოვანი რამ ბავშვის აღზრდის თვალსაზრისით.

როდესაც ბავშვი შეკითხვას გვაძლევს, სერიოზულად უნდა ვუპასუხოთ, რომ დავაკმაყოფილოთ მისი ლტოლვა უცნობის შეცნობისაკენ, პასუხი უნდა გავცეთ მარტივად, ასაკის შესაფერისად, ოღონდ ტონი უეჭველად სერიოზული უნდა იყოს. ასეთი მიდგომით კიდევ მეტად გავაღვივებთ ბავშვში სამყაროს შეცნობის სურვილს, მივაჩვევთ მოვლენებისადმი სერიოზულ მიდგომას და ლოღიკურ მსჯელობასაც. სამი-ოთხი წლის ბავშვი გულუბრყვილო, და ზოგჯერ სულელურ შეკითხვებს იძლევა, მაგრამ 5–6 წლისა, თუ მან თავის დროზე ყველა შეკითხვაზე სწორი, კონკრეტული და სერიოზული პასუხი მიიღო, უკვე ლოღიკურად მსჯელობის უნარს ამჟღავნებს. მისი შეკითხვები თანდათანობით ჭკვიანური ხდება.

როდესაც დედას მუდმივად „არ სცალია“, რომ გულისხმიერად მოეკიდოს ბავშვის შეკითხვებს, როცა მამაც დაღლილი ბრუნდება სამუშაოდან, ჯერ დასვენება ესაჭიროება, შემდეგ გაზეთებიც უნდა გადაათვალიეროს, ერთი სიტყვით, მასაც „არ სცალია“ ბავშვისათვის, მაშინ ბავშვი გათიშული რჩება მშობლებისაგან.

პატარებს შესანიშნავი ალღო აქვთ. ადვილად სცნობენ მათკენ მიმართულ სიყვარულს, მაგრამ იმასაც გრძნობენ, როცა მშობლების მოსიყვარულე გულს რაღაც აკლია, სრულყოფილი არ არის. შეკითხვები თანდათანობით კლებულობს, ბავშვი განზე დგება. მისი სულიერი სამყარო უცხო ხდება მშობლებისათვის. მათ დამოკიდებულებაში არ მოჩანს ის მაღალი სულიერი და ზნეობრივი კავშირი, რომელიც სისხლის ძახილით გამოწვეულ სიყვარულს თან უნდა ერთვოდეს. მშობლები კარგავენ ავტორიტეტს, მათ მოთხოვნებს და ბრძანებებს ძალა აკლდება.

თუ თქვენ არ იშურებთ ენერგიას, შრომობთ იმისთვის, რომ არ მოაკლოთ თქვენ ბავშვს სასმელ-საჭმელი და ჩაცმა-დახურვა, რომ ის ფიზიკურად ჯანსაღი გაიზარდოს, ასევე არ უნდა დაიშუროთ დრო და ძალღონე, რომ ცოდნა მიაწოდოთ, მისცეთ შვილის გონებას ახალ-ახალი საკვები, ჩაიხედოთ მის სულიერ სამყაროში და კარგად გაარჩიოთ შიგ აღძრული ინტერესები.

თუ თქვენი ბავშვი სამი წლის -ისე გახდა, რომ არასოდეს შეუწუხებიხართ შეკითხვებით, ამ ამბავმა სერიოზულად უნდა დაგაფიქროთ: ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ბავშვის გონება მძიმედ ვითარდება, ვერ ამყარებს კავშირს საგნებთან და მოვლენებთან. მაშინ თქვენ თვითონ უნდა მიჰყოთ ხელი ბავშვის განვითარებას, თვითონ შეურჩიოთ კითხვები: რატომ? რატომაა ეს ასე? ეს რა არის? ამით ხელს შეუწყობთ ბავშვში უცნობი სამყაროს შეცნობის ინტერესის გაღვივებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარი ლ. შენგელია

**მარგარიტა გვასალია** (ზღაპარი)

ერთხელ გუგულმა გადაწყვიტა:

მოდი, ერთი მთაზე ავფრინდები და ვნახავ, რა ფრინველები ცხოვრობენ იქო.

აფრინდა გუგული, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს, ბოლოს ერთ მთის მწვერვალს მიაღწია. დაღლილი პატარა ბუჩქზე ჩამოჯდა, კლდის ნაპირას. მიდამო შეათვალიერა და გაუკვირდა თავისი ტოლები რომ ვერ დაინახა.

ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ არწივის ძახილი არღვევდა. იგი მწვერვალს დასტრიალებდა და დროდადრო სადღაც კლდეებს შორის იკარგებოდა.

— ვაიმე, არწივმა თუ დამინახა, ხომ დავიღუპები! — გაიფიქრა გუგულმა თუ არა, თავზე თითქოს ღრუბელი გადაეფარა. — აი, მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე! ახლა ნამდვილად არწივის ლუკმა გავხდები.

არწივს გუგული არც შეუმჩნევია, თავის ბუდისკენ მიიჩქაროდა იგი. ბუდეში გამოსაჩეკი კვერცხები ეწყო.

მტაცებელი ჯერ კლდეზე დაეშვა, მიიხედ-მოიხედა და შემდეგ როდესაც საეჭვო ვერაფერი შენიშნა, მიაშურა თავის ბუდეს, რომელიც ციცაბო კლდის პირზე ჰქონდა გაკეთებული, შიგ ჩაჯდა და თვალები კმაყოფილად მილულა.

გუგულმა იფიქრა:

— ეტყობა სძინავს, ახლოს მივალ, ვნახავ, როგორ ცხოვრობს ფრინველთა მეფე, ან რას აკეთებსო...

ბუდეს მიუახლოვდა თუ არა, არწივმა თვალები გაახილა და საომრად მოემზადა, მაგრამ გუგული რომ დაინახა, დამშვიდდა და ჰკითხა:

— რამ მოგიყვანა ჩემს სამეფოში, წუნარო გუგულო? ხომ არაფერი გიჭირს, შველას ხომ არ მთხოვ?

— არა, მეფეო, არაფერი მიჭირს, მხოლოდ მომწყინდა სულ ბარში ცხოვრება, ვიფიქრე, წავალ არწივთან, ვთხოვ და, თუ მისი ნებაც იქნება, მთაზე ვიცხოვრებ-მეთქი. აი, კიდევაც გეახელი. — მორიდებით უთხრა გუგულმა არწივს.

— კარგი, ნებას გაძლევ დარჩე ჩემს სამეფოში, მაგრამ მაინც უნდა გაგაფრთხილო: უთვისტომო და ზარმაც ფრინველს აქ ცხოვრება გაუჭირდება. ჩვენ, არწივებს, არ გვჩვევია სხვისი კვერცხების გამოჩეკა. შენ კი სხვის ბუდეში დებ კვერცხებს და მერე არც კი ზრუნავ მათზე. — დინჯად უთხრა არწივმა.

— ეხ, რას გაგიკეთებს შვილები; იწვალებ, გამოზრდი, დააფრენ და მერე არც კი მოგიგონებენ. — ცივად თქვა გუგულმა.

— განა ჩემი წვალება შეედრება იმ ბედნიერებას, რასაც შვილების შემხედვარე დედა განიცდის? — ეჰ, გუგულო, მეცოდები, ნამდვილად მეცოდები, რომ არ იცი, რას ნიშნავს დედობის სიხარული! — უთხრა არწივმა და თავი მიიბრუნა.

ამ ლაპარაკის დროს ცაში ერთი ალიაქოთი ატყდა. ორი ვებერთელა ფრინველი ერთმანეთს შებმოდა, მათი ბუმბული თოვლის ფიფქებივით სცვივოდა დაბლა — დედაარწივს მის ბარტყებზე სანადიროდ მოსულ ძერასთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა.

ცაზე ორი სხვა არწივიც გამოჩნდა. ისინი მეომრებისაკენ მიიჩქაროდნენ... ცოტა ხნის შემდეგ, სასიკვდილოდ დაჭრილი ძერა კლდეებსშუა ჩაიჩეხა.

— ახლა რაღას იტყვი, გუგულო? — მიუბრუნდა არწივის მას, — ხომ შენი თვალით დაინახე როგორ იხსნეს შვილებმა არწივი?

გუგულმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ მას ქორი დააცხრა, დასტაცა კლანჭები და გაიტაცა.

არავინ იყო დამხმარე და მხსნელი,

